

ISSN 1512-0546

სახელმწიფო მოხელე

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი დეკემბერი, 2010 წ. №3



საგეოგრაფიო მოაზრობა

N3, 2010

საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული
ჟურნალი

სარედაქციო საბჭო: ბიძინა თავამი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იულონ ტოლიაშვილი, ტარიელ სავთასი, ელდარ ლოპხანიძე, ლერი ჭოჭუა, ნუზარ გერსამია, ნოდარ სამხარამი, ნონა ლაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გიორგი კუპრაშვილი, ოთარ ღვალაძე, ირაკლი ჩაგელიშვილი, დავით კერესელიძე, გოგი ყუფარაძე.

კონსულტანტთა სათათბირო: შოთა ჭალაბანიძე, არნოლდ გემეჭკორი, გიორგი გაგოშიძე, გივი ჯაფარიძე, ნინო ჩხობაძე, რეგიაზ ჩაგელიშვილი, გიორგი ბაჩქალიძე, გოგი თოფაძე, ნიკა ბურღული, ტრისტან ჩერქეზიშვილი, თემიშტრაზ კანდელიაძი, დავით გიგაური, ლევან გვაზავა, არჩილ სუპატაშვილი, ბორის ბოქორიშვილი, თენგიზ უჩანეიშვილი, კეტრე დუნდუა, გოგი ყუფარაძე, ნატო კობახიძე, შოთა ჯაოშვილი, ზაურ ბალაშვილი, ვახტანგ ვარდიაშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი, ავთანდილ ჯეღბინიძე, რუსლან რუსაძე, კონსტანტინე სარაჯიშვილი, სოლომონ მახაური.

რევიონული კორესპონდენტები: ზურაბ მანველიძე, მადონა ხუსკივაძე, რეგიაზ იმნაძე, კარლო გერსამია, ინლიკო კაბანიძე, ავთანდილ ნიგუზიანი, ივო მაყშიშვილი, ილია ეჯიბაძე, ნოდარ მაყანიშვილი, ზაქარია ჩხრაძე, ლევან გოცირიძე, დემნა ბლიაძე, ია მაგულაშვილი, მისეილ ჯეღელაშვილი, გურამ თევლორაძე, ანტონ ჩაფიძე, უჩა ჯაფარიძე, მარსელ მაჭარაიანი, იური ლომიძე, თენგიზ მებრეველი, ბესარიონ ყაველაშვილი, ვალერიან ციბროშვილი, მალხაზ სამაღლაშვილი, ბიძინა მერსეაშვილი.

ტექნიკური მენეჯერი: ჯონი გეგარიძე.

გამომცემელი იულონ ტოლიაშვილი ტელ.: 899 40-52-37, 96-00-67
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა მასურაშვილი ტელ.: 893 50-42-44

ი.მ. იულონ ტოლიაშვილი ჟურნალი „მინოპოლიტიკა“
დაიბეჭდა შპს „მწვანე ველში“

სარედაქციო საბჭოს წევრები, კონსულტანტები, რევიონული კორესპონდენტები და მენეჯერები მოწვეული არიან საზოგადოებრივ საწყისებზე.

საკონტაქტო ტელეფონები:	რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი – 893 24 75 27	თბილისი, დიდბორის ქ. №167
მთავარი რედაქტორი – 899 10 75 44	
მთავარი რედაქტორის მოადგილე – 899 41 09 16	
პასუხისმგებელი მდივანი – 855 65 20 44	

ფასი 5 ლარი

ტირაჟი 200 ეგზემპლარი

გარეკანის პირველ გვერდზე: კავკასიონის სამხრეთ კალთები;
გარეკანის მეოთხე გვერდზე: 1. მდინარე რიონის ხეობა (ზემო რაჭა);
2. მდინარე რიონის შენაკადი – ჭანჭახი (საგლოლოსთან).
ფოტოები – პაატა ტორჩინაშვილი

I. საზოგადოებრივი

თავილთა ცაგარაიშვილი

ტყითსარგებლობის ეთნოეკოლოგიური კულტურა საქართველოში

1. ეთნოეკოლოგია

ადამიანის ურთიერთობა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან წარმოებს არაბიოლოგიური ადაპტაციის ხარჯზე. ასეთი ადაპტაციის ძირითადი მექანიზმია კულტურა მისი ეთნიკური ვარიანტებით, რომლებშიც თავს იყრის ეთნიკური ერთეულის ყველა განმასხვავებელი თავისებურება: ენა – ეთნიკური ერთობის ინდიკატორი, მატერიალური კულტურა, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულება და ა.შ., ის წვლილი, რომელიც ამა თუ იმ ხალხს, დიდსა თუ მცირეს, შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ეს თავისებურებები ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ემპირიულად, პრაქტიკულად. ემპირიული გზით მოპოვებული კულტურა ძირითადად მარტივ წარმოდგენებს ემყარება, შემოწმებულია საუკუნეებში გამართლებული ექსპერიმენტით და ერთიანდება ხალხურ წეს-ჩვეულებებში. ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ყალიბდება კომპლექსურად, ყოფის ძირითადი სფეროების მიხედვით, საფუძვლად ედება ე.წ. ცხოვრების წესს და ქმნის ეროვნულ ხასიათს. კვლევის ამ მიმართულებამ საფუძვლად ჩაუყარა ეთნიკური ეკოლოგიის განვითარებას. იგი XX ს. 60-70 წლებში აღმოცენდა ეთნოლოგიისა და ეკოლოგიის გაზიარებას. თავისი კვლევის ამოცანად ეთნიკური ჯგუფებისა და ეთნოსების სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების თავისებურებათა შესწავლას ისახავს, კონკრეტულ ისტორიულ არეალში და იმ ბუნებრივ გარემოში,

რომლის გარემოცვაშიც იმყოფება ესა თუ ის ეთნოსი. კვლევაში წინ წამოიწევეს ეთნოსის, როგორც სოციოკულტურული ფენომენისა და კონკრეტული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ურთიერთკავშირის პრობლემა.

ეთნოეკოლოგიური კვლევის საგანია ეთნოსი და გარემო, როგორც გარკვეული ერთობლიობა – ეთნოეკოლოგიური სისტემა, ჩამოყალიბებული გარკვეულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში. ეთნოგრაფიული კვლევის ძირითადი ობიექტი – ეთნოსი ცხოვრობს და შრომობს გარკვეულ ბუნებრივ გარემოში. ეს მოითხოვს ეთნიკური ასპექტის გამოვლენას ეკოლოგიური კუთხით.

ეთნოეკოლოგიური მიდგომით ცნება „გარემო“ კომპლექსურად გამოხატავს ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-ყოფითი ფაქტორების სინთეზს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საქმიანობის ცალკეულ მხარეს.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო (კლიმატი, ნიადაგი, მიკროფლორა, ჰიდროგრაფია) ადრეული პერიოდიდანვე განაპირობებდა საზოგადოების დასახლების ტიპს, საცხოვრებელს, კვებას, ტანსაცმელს, ტრანსპორტს და სხვ. საუკუნეების მანძილზე, ადამიანის მიერ ათვისებული და სამეურნეო საქმიანობაში პრაქტიკულად გამოყენებული ბუნებრივი კომპონენტები (ცალკეული მიკრო და მაკრო რეგიონებში) აპირობებდა მასში „ეთნიკურ“, „მშობლიურ“ დამოკიდებულებას. ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობისას ჩამოყალიბებული შრომითი წეს-ჩვეულებების ცალკეული ელე-

მენტები კი საბოლოო ჯამში ტრადიციულ ხასიათს იღებდა.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, მიგრაციული ცალკე და ერთად აღებული) მოქმედებდა ტრადიციული კულტურის ხასიათსა და განვითარებაზე.

ხოლო კულტურულ-ყოფითი ფაქტორები (ისტორიული, ეთნიკური, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა), რომლითაც გამოიხატება ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედება, ტრადიციულ ლოკალურ და ეთნიკურ გამოცდილებას უკავშირდება, რომლის გამძლეობა ბუნებრივ და სოციალურ, ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით დაადასტურა დრომ. ის გამოიხატა ცალკეულ ტრადიციულ დარგებში, ცხოვრების წესში, ეთნოფსიქოლოგიაში და ა.შ.

საქართველოსათვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის შრომის შეხამების ეკოლოგიური ასპექტი, რადგან საქართველოს მთისა და ბარის მეურნეობრივი განვითარება და დარგობრივი შეთანხმება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ნაყოფია და ასახავს ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელ გეობოტანიკურ კანონზომიერებებს.

გარემოზე ადამიანის ურთიერთობას რამდენიმე ასპექტი აქვს: ბუნებრივი, ბიოლოგიური და ეთნიკური, რომელიც ვლინდება ადამიანის მიერ ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვანი კომპონენტების შეცნობისა და მათთან შეფარდებული ემპირიული მეთოდებისა და ხერხების შემუშავებისას. ამავე დროს საშუალებას იძლევა ტრადიციული შეგნებისა და გამოცდილების მემკვიდრეობითობის ჩვენებას თანამედროვეობასთან ურთიერთობაში. დროის მიერ შემოწმებული და ემპირიულად გადმოცემული ეკოლოგიური გამოცდილება ყოველთვის იყო და დარჩება მომავლის ბაზისად და ორიენტირად, რადგან გეოგრაფიული გარემო არის არა მარტო წმინდა ბუნებრივი კატეგორია, ერთდროულად დიდი შრომის რეზულტატიც. XX საუკუნის სამრეწ-

ველო რევოლუციამ დააჩქარა სამრეწველო ძალთა განვითარება და საზოგადოებას მისცა „გარემოცვის“ შეცვლის ჯერ კიდევ არნახული ტექნიკური საშუალებანი, ამავე დროს გააფართოვა ბუნებასა და ადამიანს შორის აქტიური ურთიერთობის საზღვრები. დაირღვა ეროვნული ეკონომიკის ბუნებრივ-ისტორიული ბაზა, გაიზარდა ეთნიკური თავისებურებების ნიველირებისა და ეთნოკულტურული გარემოს რღვევის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურული მემკვიდრეობის განადგურება: უზარმაზარ ტერიტორიებზე იჩეხებოდა ტყეები, შენდებოდა წყალსაცავები და მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, იზრდებოდა დიდი ქალაქები, მცირდებოდა სოფლები, მძლავრობდა ურბანიზაციის პროცესი. მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად იქმნებოდა ახალი დასახლებები; ახალმოსახლეობა უტევდა სასოფლო-სამეურნეო მიწებს, უკანასკნელნი ავიწროებენ საძოვრებსა და ტყეებს, ისპობოდა წყლის რეზერვები, მძლავრობდა ეროზია; იცვლებოდა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის სურათი, რასაც მოყვებოდა მეურნეობის არატრადიციული ფორმების დანერგვა: საქართველოს ბაღ-ვენახებს, საყანე მიწებს იჭერდა ბოსტნეული კულტურა. შემცირებული მიწის ფართობების ნაყოფიერების ამაღლების მიზნით მძლავრობდა მინერალური სასუქების ეფექტური საშუალებები, მისი გამოყენების ჭარბი და არარაციონალური ფორმები, ამას ემატებოდა გარემო პირობების გაუთვალისწინებლად და ხალხური ემპირიული გამოცდილების უგულვებელყოფით დასახლება და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა საზოგადოება დააყენა ეკოლოგიური კრიზისის წინაშე.

საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ ბუნების ექსპლოატაცია-გამოყენება და დაცვა ხალხური სამეურნეო პრაქტიკაში ერთმანეთს კი არ უპირისპირდებოდა, პირიქით თანაარსებობდა. ამის საფუძველი იყო ხალხური წლიური სამეურნეო კალენდარი და ტრადიციით მიღებული

ემპირიული ეკოლოგიური კულტურა, რომელსაც გლეხი ეწეოდა და მაღალ ეფექტსაც აღწევდა: პატარა მდინარეების ენერჯის გონივრული გამოყენება, მოქნილი სარწყავი სისტემის შექმნა, მცენარეთა და ცხოველთა საუკეთესო ჯიშების გამოყვანა, ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს შერწყმული შრომის იარაღების შექმნა (დაწყებული მარტივი სახვნელი იარაღით – კავწერა და დამთავრებული რთული – მუხრანული სახვნელით) ხალხური რძის მეურნეობის მაღალპროდუქტიული სახეების მიღება (თუშური ყველი, ხევსურული ერბო, მეგრული სულგუნი), საუკეთესო სავენახე ჯიშები (რქაწითელი, ოჯალეში, ხვანჭკარა და ა.შ.), და ბოლოს მიღწევები მემინდვრობაში: ენდემური ჯიშების შექმნა, ნიადაგის გარკვეული სახის სასუქად გამოყენება, ორი მოსავლის მიღება წელიწადში, მიწის დასვენების, თესვის წესები და მრავალი სხვა. კვლევამ ცხადყო, რომ ამ მიღწევების გზაზე ქართველი მეურნის შეუპოვრობა, შრომისუნარიანობა, მიწასთან კავშირი მის ეროვნულ ხასიათში ვლინდება. ბუნებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბდა ხალხის შრომითი დისციპლინა და დღის რეჟიმი, ხოლო ხალხური კალენდარული ჩვევების ტრადიციული ციკლი მჭიდროდ დაუკავშირდა ბუნებრივ და აგრარულ დროს, რაც იწვევდა ადამიანის შრომისა და ბუნების რიტმის კავშირსაც, თუმცა გენეტიკური აირები არ იყო ცნობილი საზოგადოების შეგნებაში და ჩვეულებით ხსნიდნენ.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებიც: შრომის ორგანიზაცია და ურთიერთდახმარების სახეები, ზნეობრივი აღზრდის საოჯახო და საზოგადოებრივი პრინციპები, სამეურნეო ტრადიციები და სხვა, რომელიც ხალხის ემპირიულ პრაქტიკასა და წეს-ჩვეულებებში ვლინდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში და სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებულია. გეოგრაფიული გარემო ზემოქმედებდა საზო-

გადობაზე, მიმართულებას აძლევს მის ცხოვრებას (ტყე, ველი, უდაბნო, მთები...), საზოგადოება კი თავისი ჩამოყალიბების მომენტში მწარმოებლურად ეგუებოდა განსაზღვრულ ლანდშაფტს, იწყებდა მასზე ზემოქმედებას, რაც სათანადო გამოხატულებას პოუვდა სამეურნეო-კულტურული ტიპების ისტორიულ ჩამოყალიბებაში. კონკრეტულ ბუნებრივ სამეურნეო პირობებში შესაფერისი, ემპირიულად გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდებოდა; ყოველივე ამან განაპირობა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, მაღალპროდუქტიული მესაქონლეობისა და კულტურულ მცენარეთა პირველადი კერების ჩასახვა-განვითარება.

ამიერკავკასიის სუბალპურ, ალპურ და ტყიან ზოლში ჩამოყალიბდა ადგილობრივ პირობებს შეფარდებული მეურნეობა, შერწყმული ლოკალურ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ადამიანის კულტურულ საქმიანობასთან. ყოველ ცალკეულ გეო-ეთნიკურ რეგიონს გააჩნია ემპირიული ეკოლოგიური კულტურის ტრადიცია, შემუშავებული სიცოცხლის-უზრუნველმყოფი სისტემის ჩამოყალიბებისას და გამართლებული ტრადიციული ხალხური სამეურნეო კულტურის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებითაც.

საქართველოს ბუნების კონტრასტულობა ისტორიულად განაპირობებდა ტყის განსაკუთრებულ როლს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მისი მოვლა-პატრონობის მრავალფეროვან ტრადიციებსა და ფრთხილი, ზომიერი ექსპლოატაციის მეთოდებს.

ცნობილია, რომ ადამიანმა თითქმის ყველაზე ადრე ხე ჩააყენა თავის სამსახურში. ხემ და ხის მასალამ დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში და ხელი შეუწყო ტექნიკისა და ტექნიკური აზროვნების განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიაზე გამომხეურებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა ცხადყო, რომ ხის დამუშავების ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. საქართველო შორეულ წარსულში ხშირი ტყეებით ყოფილა დაფა-

რული. ძველი ბერძენი, რომაელი ფილოსოფოსები და ისტორიკოსები (ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, სტრაბონი და სხვ.) მიუთითებენ კოლხეთის დაბლობის ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარ უღრან ტყეებზე. მრავალ ისტორიულ დოკუმენტში ამაჟამად ნატყევარ ადგილებზე მოხსენიებულია ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარი ტყის დიდი მასივები. ტყე ძველი დროიდან უდიდეს როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მის ეკონომიკაში.

საქართველოში არ ჩანს რეგიონი, რომლის მოსახლეობას ხის დამუშავება მცირე ან დიდი მასშტაბით არ ეწარმოებინოს.

ძველად ტყეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ხშირად თავდაცვითი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა ბრძოლაში. ამაზე მიუთითებს ჯუანშერიც (XI ს.) როცა წერს „რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტრისა მიერ“ ან „შეუწყუდივნეს ხელსა წარმართსა ერნი ქრისტიანეთანი, რამეთუ რომელნი ტყესა დაიმაღნეს და რომელიმე მოსრნეს...“ ჯუანშერის მიხედვით „ტყე იყო მტრისა მიერ შეუვალი“. აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ისტორიული ბრძოლა, როცა მან 56000 მეომრით შეძლო 300000 მტრის ჯარის სძლევა. დავით აღმაშენებელმა ხელოვნურად შექმნა „ხეთა გორები“, და შეაფერხა მტრის იერიშები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დიდმის ხეობის თავში, რომელიც ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი იყო, დღემდე დაცულია ტოპონიმი „ჩახერგილა“. ტყის შეუვალობა მტრისაგან მისი სიხშირით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ქართველი ხალხი ცდილობდა საზღვრის პირას უღრანი ტყეები ჰქონოდა, რათა ტყეს თავდაცვითი როლი შეენარჩუნებინა. ასეთი მნიშვნელოვანი მასივები მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა და მისი მუდმივი მფარველობის ქვეშ იყო. ეს აპირებოდა უპირველესად ტყის სარგებლობის რეგულირებას, რადგან ტყის სარგებლობის გაზრდა გამოიწვევდა მის გამეჩხერებას, რაც დაუკარგავდა მას თავდაცვით მნიშვნელობას.

ძველ საქართველოში ტყეს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა სამონადირეო მეურნეობაში.

იგი სამხედრო ვარჯიშის ფუნქციას ასრულებდა და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა. სანადირო ადგილები სათანადოდ იყენებდნენ დაცულნი. ჯერ კიდევ XII ს. თამარ მეფის სამეფო კარზე არსებობდა თანამდებობა „ტყეთ უხუცესი“, რომლის მოვალეობას სწორედ სტრატეგიული და სამონადირეო ტყეების დაცვა შეადგენდა.

საშუალო საუკუნეებში არსებული ტყისმცველთა სპეციალური ორგანიზაცია, რომელნიც წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ სამეფო კარზე. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის მიხედვით „ტყის მცველნი კიდე არიან“. ეს შეკრება ითვალისწინებდა ანგარიშის ჩაბარებას მათთვის მინდობილ ტყეებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქართული სამართლის ძეგლებში (დასტურლამალი, ბექასა და აღბუღას სამართალი, იონა ბაგრატიონის სჯულდება და სხვ.) პირდაპირი მნიშვნელობით მოიპოვება ბუნების სიმდიდრეთა გამოყენებისათვის დაწესებული ნორმები და მათი დაცვისათვის შემუშავებული რეჟიმი.

ტყის მნიშვნელობის ფართო ცნებით გაგება მოცემული აქვს ქართველ სჯულმდებელს ვახტანგ VI-ს თავის „სამართალში“, რომელმაც საჯაროდ გამოაცხადა „რომ სამი რამ არ დაეჭირვების კაცსა: ტყე, ბალახი და წყალიო“. და შემდეგ ხსნის: „მთა და შეშა ამისთვის არ დაეჭირვების – თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შეშით არ დარჩების, ქვეყანაზე შენობა მოაკლდების და ხელმწიფის ლაშქარ-ნადირობა დააკლდების“.

ამ კანონით ტყე (შეშა) სახელმწიფო საკუთრებად არის გამოცხადებული. მაგრამ სახელმწიფო ტყეებს გარდა არსებობდა აგრეთვე კერძო მიწისმფლობელთა, სამონასტრო, სასოფლო და საგვაროვნო ტყეებიც. ომიანობის წლებში – მონღოლები, არაბები, სპარსელები, თურქები ანადგურებდნენ არა მარტო მოსახლეობას, არამედ ტყეებსაც. XIX ს.

ბოლოს და XX ს. დასაწყისში, როდესაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გაიზარდა მოთხოვნილება ხე-ტყეზე, გაძლიერდა ტყეების უსისტემო ჩეხვა.

XIX ს. დასაწყისიდან საქართველოში ტყით სარგებლობის გარკვეული წესები აღარ არსებობდა. ამის მიზეზი – ძველი ვახტანგისეული და ახალი რუსული კანონების აღრევაში მდგომარეობდა.

XIX ს. მთელ მანძილზე საქართველოს ტყეებში საექსპორტოდ იჭრებოდა ხის ძვირფასი ჯიშები: ბზა, კაკალი, წაბლი, ურთხელი, ივანი და ნედლეულის სახით გაჰქონდათ სამხრეთ რუსეთში, ევროპასა და აზიის ქვეყნებში. ამ დროს ცნობილი მრეწველები იყვნენ ზეხელმანები, ძმები ონანოვები და სხვ.

დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა სათავადაზნაურო ტყეების განადგურებაც, რომელნიც პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აგირაგებდნენ ან ყიდდნენ საკუთარ მიწებს, მათ შორის ტყეებსაც. ტყის ჩეხვამ მასიური ხასიათი მიიღო. მის აღდგენა-განახლების სამუშაოებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რადგან იგი ერთი მხრივ, ტყის ბიოლოგიურ თვისებებთან, დაბანდებული თანხების უკუგებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა კერძო მესაკუთრისათვის არასარგებლიანს ხდიდა ამ დარგს. მაგ. 1912-1915 წლებში მთლიანად განადგურდა თავად ციციანოვის 60000 დესეტინა ტყის მასივი, თავად მაჩაბლის 40 ათასი დესეტინა. კიდევ უფრო გაძნელდა ტყეების დაცვა 1917-1921 წლებში, როდესაც შეწყდა ბაქოდან თხევადი სათბობის შემოზიდვა და მოსახლეობამ ამ დანაკლისის შევსება შემოთ დაიწყო.

საქართველოს ტყეები ვერტიკალური სიმაღლეების მიხედვითაა განლაგებული.

ვერტიკალური ზონალობა განაპირობებს მოსახლეობის განფენილობას, სამეურნეო ზონალობას და მათ ურთიერთკავშირს. მოსახლეობის ყოფა, შრომა-საქმიანობა შეესატყვისება ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს. მთიანი რელიეფის ადგილობრივი საარსებო არე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამოკვების საშუალებას იძლეოდა, რო-

მელიც სტაბილურად, ტრადიციული საქმიანობის წარმოებით ქმნიდა მთურ კულტურას, გამოხატულს სამეურნეო, მატერიალური თუ სოციალურ ურთიერთობებში და დაფუძნებული იყო ლოკალურ ეკოლოგიურ ცოდნა-გამოცდილებაზე. ეთნოგრაფიული კვლევით (გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, ნ. ბრეგაძე, მ. ქანთარია, ლ. ბერიაშვილი, ლ. ფრუიძე და სხვ.) დადგენილია, რომ ბუნების ვერტიკალური ზონალობის, მისი გეოგრაფიული სარტყლების, მთის, გარდამავალი ზონლისა და ბარის ბუნებრივ-სამეურნეო გარემო დიფერენცირებული იყო მიწათმოქმედების დარგების განლაგებითაც. მათი ზონალური შესატყვისობა კარგად ვლინდება წლიურ სამიწათმოქმედო ციკლში, სამეურნეო წესების დინამიკურობაში, შრომის იარაღების მრავალფეროვნებაში და ა. შ.

ეთნოგრაფიული კვლევით ვლინდება ქვეყნის, ასევე რეგიონის მიკრო ზონალური მასშტაბები: მთა, გარდამავალი ზონა, ბარი. დასახლება და მოსახლეობის გეოგრაფიული გავრცელება ექვემდებარება ხეობებს, ხეობის აყოლებით ბარიდან – სათავეებისკენ. დასახლებულ ადგილებს უკავიათ ხეობის გაგანიერებული ძირები და ხეობათა მცირედ დაქანებული კალთები.

ყოველი ხეობა წარმოადგენს ისტორიულ ტერიტორიულ ერთეულს, სადაც ყალიბდება ადამიანის საწარმოო და კულტურული გამოცდილება, მოხდა მთისა და ბარის, მთური და ბარული მეურნეობების სინთეზი, რამაც განსაზღვრა არა მარტო მეურნეობის სრულყოფა, არამედ ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლების, მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაც. მთა-ბარული კომპლექსები კარგად გამოიკვეთება მესაქონლეობაში: კარვები, საბოსლოები, სამთოები, ლაბავეები (სვანეთში), აგვართა (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი), საკარე, ლაკადა (სამეგრელოში) და სხვ., რაც მთისა და ბარის ერთიანობის მატერიალური გამოხატულებაა.

ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამო-

ავლინა მოსახლეობის ემპირიული ეკოლოგიური ცოდნა, მცირე ტერიტორიაზე ყოველი კუნჭულის მიკროკლიმატური პირობების, ბუნებრივი მოვლენების, ნიადაგების, მცენარეული სამყაროს, მიკროფლორის და ა. შ.

მოსახლეობა ემპირიული გამოცდილებით იყენებს ტყის მცენარეულობის მერქანს, მის ნაყოფს საკვებად, სამკურნალოდ. ტყე იყო ბაზა გარეული მეხილეობის, შემგროვებლობის, მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ამავე დროს წლის მანძილზე ემორჩილება სეზონური მოხმარების ფორმებს და ასრულებდა დამხმარე მეურნეობის ფუნქციებს; როგორცაა: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა, საწვავ-სათბობი მეურნეობა, ბინათმშენებლობა და ა. შ. ბუნების გამოყენების ხალხურ კულტურაში ვლინდება გარემოს შეცნობისა და პრაქტიკულად მისი გამოყენების ჩვევები. ბუნებათსარგებლობის ტრადიციული ხაზი ემორჩილება არა მარტო ადამიანის მოთხოვნილებებს, არამედ ბუნების კანონებსა და შესაძლებლობებს, ითვისების წინებს რელიეფს, ნიადაგის პოტენციურ შესაძლებლობებსა და სასიცოცხლო არეალს.

ადამიანის მჭიდრო კავშირი ბუნებასთან შეიგრძნობა ზნეობრივ შეგნებაში, აღზრდაში, ურთიერთობის ფორმებში. ხალხური გაგებით, ბუნება ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის წყაროა, მისი არსებობის უმთავრესი პირობა.

მცენარეების განსაკუთრებულმა როლმა ადამიანის ცხოვრებაში მითოლოგიზაციის ობიექტად აქცია არა მარტო მცენარე თავისი ანატომიური აგებულებით, არამედ მისი ნაყოფიც. ქართველი კაცის არსებობის ადრეულ ეტაპზე ტყე მხოლოდ არსებობის წყარო როდი იყო: მცენარეთა განვითარების მრავალფეროვნება, ხის ვეგეტაციასთან დაკავშირებული ცალკეული მოვლენები, ბოტანიკური თვისებები სხვა ესთეტიკურ განცდასთან და პრაქტიკულ საჭიროებასთან ერთად ერთგვარ შინაგან ემოციასაც იწვევდა, რითაც საფუძველი ეყრებოდა ხეთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს.

ტყის მეურნეობა წარმოადგენს ერთ მთლიან ციკლს, რომელიც მოიცავს ცალკეულ სამეურნეო დარგებს.

ცალკეული სოფლების მიერ ტყის გამოყენების წლიური ციკლის შესწავლასთან დაკავშირებით დგინდება, რომ წლის განმავლობაში იგი აქტიურად არის გამოყენებული ხალხის სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში:

გაზაფხული – საქონლის დამატებითი საკვების ერთ-ერთი წყარო, სამასალე ხე-ტყის მოპოვება-დანისვნა, ახოს აღება, შემგროვებლობა.

ზაფხული – სამასალე ხის მოჭრა-დამუშავება, სათბობის მომზადება (ნახშირი, შეშა), საკვები ბუნებრივი ბალახეულის მოხმარება.

შემოდგომა – საშეშე ხის ჭრა, ტყიური მეცხვარეობა, გარეული მეხილეობა.

ზამთარი – ტყიური მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეშეშეობა, მენახშირეობა.

გარკვეულ რეგიონში ტყე ხელს უწყობდა მეურნეობის ცალკეული დარგების დაწინაურებას, როგორცაა, მაგალითად მელორეობა. ხოლო კაპიტალიზმის გავრცელების შემდგომ ტყის მასალის გამოყენების საფუძველზე ზოგიერთმა შინამრეწველობის დარგმა სასაქონლო ხასიათი მიიღო, არაგვის ბარის რაიონებში – მეკვერეობა, მეკასრეობა, მეკირეობა, მენახშირეობა, მეშეშეობა. არაგვის ხეობის მთაში – მეჭურჭლეობა (ფშავი), მეშეშეობა (მთიულეთ-გუდამაყარი), მელორეობა (დუშეთ-ანანური) და სხვა.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა ტყის მცენარეთა გამოყენების პრაქტიკამ და ტრადიციულმა გამოცდილებამ ქართველ მეურნეს საშუალება მისცა ემპირიულად მიგნებული მცენარეულის თვისებები თავისი სამეურნეო მიზნებისათვის გამოეყენებინა. რაც აღიბეჭდა ტყის მცენარეულ საფართან, მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ცოდნასა და წეს-ჩვეულებებში. მოსახლეობა არჩევდა ხის ჯიშებს შესახედაობის, წლოვანების, გამძლეობის, მერქნის ანატომიური რაობის მიხედვით; გამოიმუშავა ხის მოპოვებასთან დაკავშირებული წესები, ხის დასაკუთრება-დანის-

ენის ფორმები, ხის მოჭრასთან დაკავშირებული პრაქტიკული წესები, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ ბუნებრივ ციკლებს, როგორცაა, წელიწადის დრო, მთვარის ფაზები, ტყის სისწირე და ა. შ. ყურადღებას აქცევდა მცენარის ზრდა-განვითარების ნიშანდობლივ თვისებებს, რაც ემყარებოდა ემპირიულად შემუშავებულ პრაქტიკულ ეკოლოგიურ ცოდნას. ტყეთმცოდნეობის გამოცდილება ასევე აღიბეჭდა ტყესთან დაკავშირებულ მდიდარ ტერმინოლოგიასა და მოვლადაცვის წესებში.

მდ. არაგვის, მტკვრის, ღვინის, თემის, ქსნის ხეობის აღნიშნული მიდგომით შესწავლა-შედარებისას გამოვლინდა, რომ ზონალობას დამორჩილებული ბუნებრივ ფაქტორთა კომპლექსი იწვევს სამეურნეო პირობების მრავალფეროვნებას თვითოეული ხეობის შიგნით.

ამავე დროს ბუნებრივ-ეკოლოგიური და სამეურნეო პირობებთან შეფარდებით ცალკეული ხეობის შიგნით ვხვდებით განსხვავებას დასახლების ტიპებსა და მეურნეობის ფორმებში. აღსანიშნავია, რომ მეურნეობისა და მატერიალური კულტურის ცალკეული დარგები მემინდვრობა (გაახობის სისტემა), მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, დასახლების ფორმები თუ სხვა ტრადიციული საქმიანობა ტყის გარემოცვაშია და მისი გავრცელების სამივე ზონაში დანიშნულება-გავრცელების სპეციფიკური იერის მატარებელი. ამდენად, მასთან უშუალო კავშირშია ტყის გაკაფვის სისტემის თავისებურებები. თუ დაბლობ რაიონებში უპირველეს განვითარებას პოვებს მიწათმოქმედება, მასთან შეფარდებით

წარმოდგენილია გაშლილი დასახლება. მესაქონლეობის დაწინაურებულ რეგიონებში – მჭიდრო დასახლება, საინტერესოდ გამოიყურება ქსნის ხეობის მკვიდრთა დახასიათება მეურნეობის დარგთა განლაგებისა და ზონალობის მიხედვით: მინდვრის ხალხი, ტყის ხალხი, მთის ხალხი.

დაბლობ რაიონებში გავრცელებას პოვებს ჭალის ტყეები, უმთავრესად მდინარის ნაპირებზე, რომელსაც ეკისრება ძირითადად წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი ფუნქცია. ამავე დროს დამხმარე როლს ასრულებს მევენახეობის, მიწათმოქმედების წარმოების პროცესში (სარი, ჭიგო და სხვა). მთიან რეგიონში – სუბალპური ტყეები, რომლის ძირითადი ფუნქციაა მაღალი მთის კალთების დაცვა ეროზიისაგან, ზეავებისაგან.

აღსანიშნავია, რომ მეტ მნიშვნელობას იძენს ეთნოეკოლოგიური კვლევა რეგიონალური კუთხით, რადგან იგი აფლენს ადამიანის მიერ ბუნებრივ, საწარმოო ძალების გამოყენების ადგილობრივ თავისებურებებს და მასთან შეფარდებულ ემპირიულ აგროტექნიკურ ხერხებსა და მეთოდებს, აღმოცენებულს მრავალსაუკუნოვან საწარმოო ტრადიციებზე. ამდენად იგი რეგიონალურ ბუნებათსარგებლობის მოდელია. ყურადსაღებია ისიც, რომ კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური სისტემა ტრადიციულ ბუნებათსარგებლობის ნიმუშს წარმოადგენს ლოკალური რეგიონისათვის და მისი სხვა გარემოში გადატანა სასურველ შედეგს არ იძლევა.

ЎТНИЧЕСКАЯ ЎКОЛОГИЯ

На современном этапе развития науки как в технических так и в гуманитарных науках, произошло синтез многих смежных и даже совершенно разных дисциплин, однако цели и методы многих исследований в соответствующей литературе все еще не определены или находятся в зародышевом состоянии.

Ўтническая ўкология возникла в 60-70^{ые} годы XX столетия в результате синтеза ўтнологии и ўкологии. Ее задача состоит в изучении особенности жизнеобеспечивающих систем ўтнических групп и ўтносов в окружающей их природной и социально-культурной среде.

Ўтническая ўкология придает существенное значение тем культурно-историческим аспектам человеческого существования, которые являются основой региональной хозяйственной культуры. С другой стороны, она выявляет физическую и физиологическую стороны адаптации общества к окружающей среде в данной ўкологической нише, т. е. ўкологические факторы.

Культурно-историческое исследование ўкологии призвано в первую очередь выявить, ссылаясь на ўтнический материал, закономерности ўкологических систем, т. к. объяснение процессов исторического развития природы и общества требует выяснения возможностей и уровня развития производственных сил данного региона в определенной эпохе. В этом процессе конкретную, однако не решающую роль играет и окружающая среда.

Объектом ўкологического исследования являются ўтнос и окружающая среда как совокупность - ўкосистема, сформированная в конкретных природно-хозяйственных условиях. Ўтнос живет и трудится в определенном природном окружении. Необходимо выявить ўт-

нический аспект с ўкологической точки зрения, т. к. отдельные группы людей, разных ўтносов, воздействуют на природу в конкретных исторических и социально-ўкономических условиях индивидуальными способами воздействия, в процессе чего и проявляют особенности ўтнического характера.

Отношение человека и окружающей среды содержит несколько аспектов: природный, биологический и ўтнический. Выявление ўтнического аспекта происходит во время познания человеком разнообразных компонентов окружающей среды (с учетом локальных особенностей), выработки соответствующих эмпирических методов и способов, которые проверены многовековым экспериментом и оправданы на практике. Ўкологическое исследование дает возможность показать наследственность традиционного сознания и опыта. Ўкологический опыт, проверенный временем и полученный эмпирическим путем, всегда был и остается ориентиром и базисом будущего, поскольку географическая среда не только чисто природная категория, но одновременно и результат человеческого труда.

Согласно ўкологии, "окружающая среда" - комплексное понятие, синтез природно-географических, социально-ўкономических и культурно-бытовых факторов, которые определяют различные стороны человеческой деятельности.

В субальпийской, альпийской и лесной полосах Закавказья сформировалось приуроченное к локальным природным условиям хозяйство, которое сочетается с локальным географическим расположением и культурной деятельностью человека. Каждый отдельно взятый ўтнический регион располагает традициями ўкологической культуры, выработанных в процессе становления жизнеобеспечивающих систем и испытанных мно-

говековым опытом традиционной народно-хозяйственной культуры.

В работе в этом отношении дается анализ специфики использования обществом окружающей среды, подразумевающей гармоничное освоение природы с сохранением экологического фактора и использованием традиционных правил природопользования.

Грузия - малоземельная страна и для нее особо важнее экологический аспект сочетания природных условий

и хозяйственного труда человека. Хозяйственное развитие горных и низменных регионов Грузии и отраслевая согласованность является результатом длительного исторического процесса и отражает характерные для нашей страны геоботанические закономерности. На современном этапе в развитии экологии большое значение приобретает ее тесная связь с практической деятельностью человека.

T. TSAGAREISVILI

ETHNIC ECOLOGY

The problem of correlation between natural and geographical environment and ethnic groups as socio-cultural phenomena is among the most urgent problems of contemporary world.

One of the reasons of sharp changes in biosphere ruining the ecological system is the speed up of circulation progress, that is why preservation and protection of environmental stability is the chief task of mankind. That is exactly why the preserved traditions of utilization of natural resources have scientific and practical importance.

Ethnological investigations of practical skills of utilization of natural resources give us the chance to study ethnic groups and their environment as a certain complex –ethno-cultural system which was formed in concrete natural and geographical conditions and is manifested in results of their labour.

This kind of investigation provides the opportunity to study the process of social development, correlation between the nature and society and the role of ethnical culture, its economical, material, cultural and social aspects. All these give us the chance to reveal the features and variety of traditional system characterizing the attitude of society to the natural environment in which the ethnic group exists and is developed.

At the present stage of science development many new trends have been developed on the basis of adjoining branches of science. Their denominations clearly indicate that each of them is formed as a result of the synthesis of the adjoining branches, although their subject, problems and methods are not yet distinctly elucidated in corresponding literature.

Ethnic ecology was sprouted up in the 60-70ties of the 20 th century, at the crossroads of ethnology and ecology. Its research subject is to study the peculiarities of life-securing systems of ethnic groups and ethnoses in the natural and socio-cultural environment surrounding the given ethnos.

When studying ethnic ecology the essential attention is paid to those cultural and historical aspects which are apprehended by the society with industrial practice and make the foundation of regional economic culture. On the other hand it exposes, in the given ecological niche, the physical and physiological aspects of society-to-environment adaptation, i. e. ecological factor.

Cultural and historical research of ecology, in the first place, supposes the exposure of ecological systems' regularities based on ethnic material, as in order to determine the processes of nature and society historical development, it is essential to define the level and possibilities of industrial forces'

development in the given environment and in specific epoch. In this sense the society has its own internal laws which determine the specific character of life and culture. Though, in this process the environment has definite, but not essential or decisive role.

The subject of ethno-ecological research is ethnos and environment as some definite unity – ethno-ecological system formed under definite natural-economic conditions. The main object of ethnographic research, ethnos, lives and labours in definite natural environment. This calls for ethnic aspect exposure in ethnic aspect, as the nature is acted upon by separate concrete groups of people in definite historical and socio-economic period, who are characterized with individual peculiarities of acting upon nature when ethnic features become apparent.

The man-to-environment relation has several aspects: natural, biological and ethnic which show themselves in realization of versatile components of natural environment (with consideration of local peculiarities), in working out of corresponding empirical methods and means and sprouts out not on simple economic traditions, but is tested by many century experiment and is proved in practice.

Ethno-ecological research alongside with exposure of traditional forms of man-to-nature relations enable to show traditional conscience and experience and experience heredity in relation to the present. Tested by time and empirically passed down ecological experience always was and will be the foundation and reference point of the future, as the geographical environment is not only a pure natural category but at the same time is the result of great labour.

ბორჯომის ხეობის ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა და საკურორტო ტყეებში მეურნეობის გაძლიერების ზომებითი საკითხი

ბორჯომის ხეობის ტყეებს განსაკუთრებული ნიადაგდაცვითი წყალმარეგულირებელი, კლიმატმარეგულირებელი, კურორტოლოგიური, ესთეტიკურ-რეკრეაციული როლი აკისრიათ. დაცული ტერიტორიის სისტემის ისეთი კატეგორია, როგორცაა ბორჯომის ნაკრძალი და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი გენეტიკური, სახეობრივი და ეკოსისტემის ფონზე წარმოადგენს ერთ მთლიან კომპაქტურ ტერიტორიას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

1997-1998 წლის ტყის მოწყობის მონაცემებით, ბორჯომის ხეობის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საერთო ფართობი 74884 ჰა-ს შეადგენს, რომელთაგანაც ტყით დაფარულია 69770 ჰა ანუ მთლიანი ფართობის 94% (ამაში შედის 1994 წელს საკოლმეურნეო ტყეებიდან გადმოცემულ 6975 ჰა ტყეც). ზემოთაღნიშნულიდან სამეურნეო ერთეულებს შორის ეს ფართობები ასე ნაწილდებოდა: ბორჯომის სატყეო მეურნეობას ეკავა 25,9 ათასი ჰექტარი (1990 წლის ტყის მოწყობით), ხოლო ეროვნული პარკის შექმნის დღიდან (1995 წ.) – 22300 ჰა, რომელთაგან ტყით დაფარულია 24,4 ჰა, ბაკურიანის სატყეო მეურნეობას ეკავა 30,9 ათასი ჰა, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის საერთო ფართობი შეადგენდა 17,9 ათას ჰა-ს.

ბორჯომის ხეობის ტყეების თითქმის 61,3% (40,1 ათასი ჰა) წიწვიან კორომებს უკავიათ (მთელ საქართველოში 454,7 ათასი ჰა წიწვიანი ტყეა, რომლის 8,8% ბორჯომის ხეობაშია თავმოყრილი). გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ნაძვნარები, რომელთა საერთო ფართობი აქ 20,6 ათას ჰა-ს შეადგენს (საქართველოში სულ 138,6 ათასი ჰა ნაძვნარი

კორომია). ნაძვნარებით განთქმულია ბორჯომის (8,8 ათ. ჰა) და ბაკურიანის (7,8 ათ. ჰა) სატყეო უბნები; შედარებით მოკრძალებულადაა (3,9 ათ. ჰა) ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში. ფიჭვნარების საერთო ფართობი მთელ ხეობაში 15,6 ათ. ჰა-ს შეადგენს, სადაც დაახლოებით ნახევარი (6,9 ათ. ჰა) ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზეა გავრცელებული (მთლიანად საქართველოში 122 ათ. ჰა ფიჭვნარი გვაქვს).

წიწვიანების მესამე სახეობა, რომელიც ბორჯომის ხეობაში ტყეს ქმნის სოჭია. ბორჯომის ხეობაში სოჭნარებს უკავიათ სულ 3,6 ათ. ჰა ფართობი, რომელთა მეტი ნაწილი (80%) ბორჯომის სატყეო უბანზე მოდის. ტყით დაფარული ფართობების დანარჩენი ნაწილი (26,8 ათ. ჰა) ფოთლოვანია, რომელთაგან გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ წიფლნარ კორომებს. მათი საერთო ფართობი ბორჯომის ხეობაში 19,8 ათ. ჰა-მდე აღწევს. წიფლნარებით განსაკუთრებით მდიდარია ბაკურიანისა (11,9 ათ. ჰა) და ბორჯომის 4,9 ათ. ჰა) სატყეო უბნები. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში სულ 3,1 ათ. ჰა წიფლნარი გვაქვს. უმეტეს შემთხვევაში წიფლნარს ტყის შუა სარტყელი უკავია და საკმაოდ მაღალი წარმადობის კორომებს ქმნიან.

ტყის ქვედა სარტყელში გავრცელებულია ქართული მუხის კორომები, მისთვის ჩვეული თანამგზავრი სახეობებით. მუხნარი კორომები ზოგჯერ მაღალ მთაშიც გვხვდება (მაღალი მთის მუხა). მუხნარების საერთო ფართობი სულ 3,6 ჰა-ს შეადგენს. ტყის ზედა საზღვარი ხშირად არყნარებით თავდება, რომელთა საერთო ფართობის აქ 800 ჰა-მდე აღწევს. არყნარების უმეტესი ნაწილი (633

კა) ბაკურიანის სატყეო უბანზე მოდის. აქ ისინი ხშირად დეკიანებში გადადიან, რომლითაც ზოგჯერ მთავრდება მერქნიან მცენარეთა გავრცელების ზედა საზღვარი, დეკიანების საერთო ფართობია 135 ჰა, რომელიც მთლიანად ბაკურიანის ზონაშია გავრცელებული, უმნიშვნელო რაოდენობით – ლომის მთის მიდამოებში. მაღალ მთაში გვხვდება აგრეთვე ნეკერხლიანები (64 ჰა), ჭნავი (3 ჰა), რცხილა (699 ჰა), მურყნარი (16 ჰა), ასევე გვხვდება ცაცხვი, იფანი, ჭნავი, თხილი და სხვა ჯიშები. სულ ხეობის ტყეებში ბუნებრივად იზრდება 90-ზე მეტი დასახელების მერქნიანი მცენარე, მრავალი მათგანი დღეს იშვიათობად იქცა და შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“, ასეთებია: უთხოვარი, დათვის თხილი, მაღალმთის მუხა, ქაცვი, ჩვეულებრივი ჯონჯოლი, წაბლი, კავკასიური ასტრაგალი, ელიფსური თელაღუმა, კრიკინა. ბალახეულიდან: ხუჭუჭა მახიტა, თავყვითელა, ვინოგრადობის ზამბახი და სხვა.

ჩამოთვლილი იშვიათი სახეობებიდან აქ ფართოდაა გავრცელებული უხრავი, რომელიც ბორჯომის ხეობისათვის იშვიათობას არ წარმოადგენს. შედარებით მცირეაა წარმოდგენილი ასევე უთხოვარი (განსაკუთრებით ბორჯომის ნაკრძალში) და მაღალმთის მუხა... ცნობილია აგრეთვე დათვის თხილის გავრცელების რამდენიმე არეალი, ამათგან სამი ბორჯომის ნაკრძალებშია, სადაც დათვის თხილის უდიდესი ეგზემპლარების ღეროები 28 მეტრი სიმაღლისაა და 62 სმ დიამეტრისა მკერდის სიმაღლეზე, ბანისხევში ერთეულებად გვხვდება წაბლი, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი აღწერილია ნექვის ხეობაშიც და სხვაგანაც.

ბორჯომის ხეობის ტყეებში, როგორც უაღრესად საკურორტო, ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობის კორომებში, მერქნის დამზადება მხოლოდ ამ ტყეების სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით უნდა ხორციელდებოდეს მოვლითი და სანიტარული ჭრებით.

ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დიდი მოცუ-

ლობის ხე-ტყე იქნა მოჭრილი ნაძვის ლაფნიჭამიებით დაზიანებულ კორომებში. ფაუტი, ზესმელი და ლაფანჭამით დაზიანებული მერქნის რაოდენობა ბორჯომის ხეობის ტყეებში დღესაც სოლიდურია. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ნაძვის ხეთა 15-16%, ისინი ძირითადად ძნელად მისადგომ ფერდობებზეა გავრცელებული. ხეობებში ფერდობთა დაქანების მიხედვით ტყის დაფარული ფართობების განაწილება ასეთია: დამრეც ფერდობზე (10⁰-მდე) გავრცელებულია ტყეების ერთ მეათედზე ნაკლები (6,2 ათ. ჰა); დაფერდებულ ფერდობებზე (11-20⁰) – 7,9 ათ ჰა; ციცაბო ფერდობზე (21-35⁰) – 45,2 ათ ჰა; ძლიერ ციცაბო ფერდობებზე (36⁰ და მეტი) – განლაგებულია 10,3 ათ ჰა ტყე.

ბორჯომის ხეობა თავისი ბუნებრივი რესურსების დიდ სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით, კეთილსასურველი ბუნებრივი პირობებით, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურით, ბუნებრივი და ისტორიულ ძეგლთა სიუხვით და სხვა მონაცემებით ძველთაგანვე იპყრობდა ქართველი საზოგადოების და უცხოელების დიდ ყურადღებას, ხოლო მისი ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვა ყოველთვის იმსახურებდა განსაკუთრებულ ზრუნვას.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წ. 28 ივლისის №447 დადგენილებით შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ბორჯომის ნაკრძალის და ძირითადად, ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ტერიტორიის ბაზაზე (76000 ჰა). მან ფუნქციონირება დაიწყო 1999 წ. ივნისიდან. აბასთუმნისა და ნექვის ადკვეთილების შემოერთების შემდეგ ფართობი გაიზარდა 90000 ჰა-მდე.

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ქართული ტყის გასაჭირი, სადაც 16-18 წელია შეწყვეტილია რესურსების კვლავწარმოების (აღდგენა, განახლება) პროცესები, რაც შორეული და უახლესი პერიოდების განმავლობაში დაშვებული შეცდომების შედეგია. ეს შეცდომები და დარღვევები განპირობებული იყო სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, რომელიც შეიძლება ოთხ ჯგუფად დავანაწილოთ:

I – გასული საუკუნის 50-60-იანი წლების პერიოდში ბორჯომის ხეობის ტყეებში გაჩნდა ტყის საშიში მავნებელი ნაძვის დიდი ლაფნიჭამია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ხეობის ტყეებს.

II – 1965-1980 წლებში დაგროვდა ნაძვის ლაფნიჭამიით დაზიანებული საკმაოდ რაოდენობის გამხმარი ნაძვის ხეები, რის გამოც დაისვა საკითხი ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დაზიანებული და ზეხმელი ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვისა და ჩახერგილი კორომების გაწმენდის შესახებ, რამაც ხეობის ნაძვნარი კორომების საგრძნობლად გაამეჩხერა.

III – 2001-2005 წლებში ხეობაში მძვინვარებს მავნებელი მბეჭდავი ქერქიჭამია და მიუხედავად ამისა, რომ მის მიმართ მიმდინარეობს ბიოლოგიური ბრძოლა, ჯერ არ ვიცით როგორ ხასიათს მიიღებს მისი აგრესიულობა, როგორი იქნება მისი გავრცელების არეალი, ნაძვის ხმობის და კორომების გამეჩხერების პროცენტი და როგორ წარიმართება ტყის ბუნებრივი განახლების პროცესები, როცა დამზადდება და გამოიზიდება (ზოგან კი ჩაღებება) ზეხმელი ხე-ტყე. მიუხედავად გატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა, ტყის მავნებელმა მაინც თავისი დადი დაასვა ბორჯომის ხეობის ნაძვის წმინდა კორომებს (შერეულ კორომში სისშირის კლება არ იგრძნობოდა).

IV – 1991-2008 წლებში პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა კრიზისმა ხე-ტყის მომხმარებელთა აღზევება გამოიწვია. უნებართვო ჭრები შესაბამისად გაიზარდა, უტრანსპორტობამ და საწვავ-საცხები მასალების სიმცირემ ადრე ჭრაგავლილ ფართობებში დამატებით ინტენსიური ჭრები გამოიწვია; გაიზარდა სამასალე ხე-ტყის დატაცება და კონტრაბანდული წესით საზღვარგარეთ გატანა, ყოველივე ამან სერიოზული დადი დაასვა ხეობის წიწვიანი და ფოთლოვანი ტყის კორომებს და ბევრ უბნებში ტყეები საგრძნობლად გაამეჩხერა. ბორჯომის ხეობაში განსაკუთრებით 1993 წლის მეორე ნახევრიდან მასიური ხასიათი მიიღო, ხოლო შემდგომ ძალიან გახშირდა

ხე-ტყის დატაცება, რომლის ხელის შეშლაც თანამდებობის პირები გამდიდრდნენ. მათმა გაზულუქებულმა ყოფამ დანაშაულში ზოგიერთი მეტყვე და პოლიციის მუშაკებიც ჩაითრია. რაც დრო გადიოდა ბორჯომის ხეობაში მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. დიდძალი სამასალე ხე-ტყე, სამწუხაროდ ჩალის ფასად გაიზიდა მეზობელ რესპუბლიკაში.

ხე-ტყის დატაცება მეტ-ნაკლებად დღესაც მიმდინარეობს.

ბუნებრივი ობიექტების, ბუნებრივი კომპლექსების და ბუნებრივი პროცესების დაცვის მიზნით ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე როგორც ავღნიშნეთ შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სადაც გაერთიანდა ექვსი რაიონის (ბორჯომის, ხარაგაულის, ბაღდადის, ახალციხის, ხაშურის და ადიგენის) სატყეო მეურნეობების ნაწილი ფართობები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაარსებული პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულმა პარკმა თავისი ბუნებრივი ფასეულობებით და ტურისტული პოტენციალით საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 2007 წლის თებერვალში იგი გახდა PANK-Park-ების საერთაშორისო ქსელის წევრი.

PANKPark-ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელია. იგი ჩამოყალიბდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) და პოლანდიური ტურისტული კომპანიის მოლეკატენის მიერ 1997 წელს. PANKPark-ების მიზანია ევროპის ველური ბუნების დაცვა, შენარჩუნება და ტურიზმის განვითარება.

PANKPark-ების ორგანიზაციის ყურადღება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულმა პარკმა განსაკუთრებით იმით მიიპყრო, რომ იგი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. გააჩნია იურიდიული სტატუსი, რომელიც მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს, ეროვნულ პარკს გააჩნია მუშაობის კონკრეტული პროგრამების და ევროსტანდარტების

შესაბამისი სტრუქტურა და, რაც მთავარია, ტერიტორიის დაცვისა და კონტროლის შესაბამისი მექანიზმები, აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნულ პარკს აქვს თავისი ლოგო, რაც მნიშვნელოვანია ეკო-ტურიზმის და საერთოდ პარკის პოპულარიზაციისთვის.

PANKPark-ების წევრობა დაცული ტერიტორიების უმაღლეს დონეზე კონტროლის, დაცვისა და ტურიზმის განვითარების გარანტიაა.

რას მოუტანს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს და მის რეგიონს – PANKPark-ებში გაწევრიანება? ეს არის ბუნების გაუმჯობესებული დაცვისა და ტურიზმის განვითარების კონკრეტული საშუალება, რომელიც აგრეთვე ითვისების წინებს ადგილობრივი მცირე ბიზნესის განვითარებას, გაუმჯობესებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საერთაშორისო აღიარებას, საერთაშორისო მარკეტინგს და რეკლამას, რაც მდგრადი ტურიზმის განვითარების მყარი გარანტიაა.

ტყეთსარგებლობა და ტყეების შენახვა-დაცვა შეუძლებელია სატყეო ურთიერთობათა სფეროში მიზანდასახული სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე. სატყეო პოლიტიკა არის სახელმწიფო ხელისუფლების ღონისძიებათა რეალიზაციის პროცესი ტყის მეურნეობის წარმოებასა და ტყეთსარგებლობის სფეროში გარკვეული მიზნების მისაღწევად – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო გზით. იგი ამავე დროს, განსაზღვრავს დარგის განვითარების სტრატეგიას, ტაქტიკას, ძირითად პრინციპებს და მიზნებს.

მთლიანობაში ტყის მეურნეობის წარმოება (აღდგენა, განახლება და დაცვა) და ტყეთსარგებლობა დამოკიდებულია: ტყის რესურსების რაოდენობაზე და მათ მდგომარეობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად შემუშავებულ სწორ და მიზანმიმართულ სატყეო პოლიტიკაზე.

ტყის რესურსებს გაძლიერებულად ვითვისებთ, მაგრამ მის აღსადგენად, დასაცავად და მოსავლელად მინიმალურ

სახსრებსაც კი ვერ ვიმეტებთ.

ან კიდევ რა სატყეო პოლიტიკასა და მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომელიც უზრუნველყოს ტყის რესურსების მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

1. სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

2. სადაც ტყის რესურსების დაცვა უზრუნველყოს მათი მართლმართლად გამოყენება და მათი დაცვა.

II. მებუჩხუბოს, ჭყვიანის ალბანის და გაჯანსაღების პრობლემა

ბიძინა თავაძე, რევაზ ობოლაძე,

ბოგო ბეროზაშვილი, ილია ეჯიბაძე

შეზღწერით წახუნარები მომავალ თაობებს

წახლი ტყის მცენარეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული კომპონენტია.

მეცნიერული გამოკვლევებით დასტურდება, რომ წახლის გვარი (*Castanea*) მესამეული პერიოდის დასაწყისში – მეზოზოური და კაინოზოური ერების მიჯნაზე ჩამოყალიბებულა.

მეოთხეული პერიოდის დასაწყისში ევრაზიისა და ჩრდილო ამერიკის სივრცეები გამყინვარებამ მოიცვა, რის შედეგადაც წახლის გვარის წარმომადგენლები თითქმის გაქრნენ მესამეული პერიოდის არეალიდან და შემორჩნენ მხოლოდ სამხრეთ რაიონებში.

წახლი პირველად აღწერა ფრანგმა მეცნიერმა ტურნეფორმა 1700 წელს. 1753 წელს შევდმა მეცნიერმა კარლ ლინეიმ წახლის წარმომადგენლები წიფლის გვარში გააერთიანა, ხოლო 1768 წელს მილერმა ის ცალკე გვარად გამოჰყო. ამჟამად წახლის გვარი მიკუთვნებულია წიფლისებრთა ოჯახს (*Fagaceae*) და შეიცავს 12 სახეობას, რომელთაგან საქართველოში ბუნებრივად გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა – ჩვეულებრივი, ანუ საჭმელი წახლი (*Castanea sativa*).

ჩვეულებრივი წახლი პირველი სიდიდის ხეა. სიმაღლეში იზრდება 35-40 მეტრამდე, ხოლო დიამეტრში აღწევს 2 მეტრამდე. თუმცა გამოჩენილი ქართველი მეტყევე-მეცნიერის სოლომონ ქურდიანის ცნობით, იტალიაში (სიცილია) აღწერილია ე. წ. „ასი ცხენოსნის“ წახლის ხე, რომლის ღეროს გარშემოწერილობა ყოფილა 64 მეტრი. შემდგომში, როგორც პ. ისინსკი იტალიელ ავტორზე – პარლატორზე დაყრდნობით აღნიშ-

ნავს, ეს ხე ხუთი ხის ღეროს შეზრდით წარმოშობილი აღმოჩნდა.

ჩვეულებრივი წახლი ცოცხლობს 500 წლამდე, თუმცა იტალიაში აღწერილია 3000 წლის ხნოვანების ხეებიც.

ხალხი წახლს „ჭკვიან ხეს“ ეძახის, რადგან ერთ-ერთი გვიან მოყვავილეა და ნაყოფს ადრე ამწიფებს. იგი ადრე იწყებს მსხმოიარობას. კერძოდ, თავისუფლად მდგომი ხეები მსხმოიარობენ 5-7 წლიდან, ხოლო ტყეში – 20-25 წლიდან. კარგ პირობებში უხვი ნაყოფმსხმოიარობა მეორდება 3-4 წელიწადში ერთხელ.

წახლი ინვითარებს მძლავრ, ფართოდ განტოტვილ ფესვთა სისტემას. არ ხასიათდება სინათლისადმი დიდი მომთხოვნელობით, რის გამოც მის მოზარდს შეუძლია გაძლოს კალთის ქვეშ 20-25 წელი.

წახლი ყინვაგამძლეა. აკად. ვ. გული-საშვილის დაკვირვებებით საქართველოში წახლის ხელოვნურად გაშენებულმა კორომებმა, რომლებიც აღმოცენებული იყო ჩრდილოეთ ფერდობებზე აღებული თესლებიდან, გადაიტანა -28^o-მდე ტემპერატურა.

წახლის დიდ ყინვაგამძლეობაზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც ჩრდილოეთ კავკასიისა და იმიერ-კარპატებში გაშენებული კულტურების მაგალითზე.

წახლი ნიადაგების მიმართ დიდი მომთხოვნია. მაღალი წარმადობის კორომებს ქმნის ღრმა, ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. გაურბის მძიმე თიხნარ და ჭარბტენიან ნიადაგებს, ასევე ისეთ ყომრალ ნიადაგებს, რომლებიც კალიუმს არ შეიცავენ.

ჩვეულებრივი წაბლი მიეკუთვნება სწრაფმოზარდ სახეობებს. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყარით. ძირკვები ამონაყარის უნარს ინარჩუნებს თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

წაბლი თავის სარტყელში (500-1000 მ) ქმნის წმინდა კორომებს, ხოლო მის გარეთ – შერეულ, რთულ კორომებს ისეთ სახეობებთან ერთად, როგორცაა: რცხილა, იფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი და სხვა.

დ. სოკოლოვის ცნობით ჩრდილო კავკასიაში ჩვეულებრივი წაბლი გვხვდება სოჭთან შერევითაც. ევროპაში გავრცელებულია პირინეისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე, საფრანგეთში, სამხრეთ ინგლისში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი), გვხვდება ასევე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, როგორც ველურად, ისე ტყის კულტურებში.

ჩვეულებრივი წაბლის აღმოსავლური არეალი მოიცავს თურქეთსა და კავკასიას, რომელიც წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვისპირა არეალის გავრძელებას. ის წყვეტილი გავრცელებით ხასიათდება კავკასიაში, რაც გამოწვეულია ბუნებრივი პირობების სირთულით და რელიეფის დანაწევრებით.

კავკასიაში წაბლის მნიშვნელოვანი მასივები გვხვდება კრასნოდარის მხარესა და დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია შედარებით მცირე ოდენობით. კიდევ უფრო მცირეა ის წარმოდგენილი აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საქართველოში წაბლის მნიშვნელოვანი კორომებია მდინარეების – ტყიბულას, ყვირილას, ცხენისწყლის, რიონის და ენგურის ხეობებში. გვხვდება ასევე დასავლეთ საქართველოს სხვა მდინარეთა აუზებშიც. სულ ქვეყანაში წაბლნარების მთლიანი ფართობი აღწევს 106 ათას ჰა-მდე.

საქართველოში გავრცელებულ მერქნიან მცენარეთა შორის ჩვეულებრივი წაბლი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სატყეო და სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის მქონე სახეობაა. მას განსაკუთრე-

ბული როლი ენიჭება უპირველესად, როგორც ძვირფასი მერქნისა და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ნაყოფის მომცემს, ასევე მთრიმლავი ნივთიერების შემცველს, თაფლოვან და დეკორატიულ ხემცენარეს, რომ არაფერი ითქვას იმ დიდ ნიადაგდაცვით და წყალშემნახ ფუნქციებზე, რომელსაც მისი კორომები ასრულებენ, ტყის სხვა სახეობებთან კომპლექსში, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების საქმეში.

წაბლის მერქანმა, როგორც საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საუკეთესო მასალამ, ადრიდანვე მიიქცია ყურადღება. სოლომონ ქურდიანი აღნიშნავს, რომ მხოლოდ წაბლის მერქანს (გულის ნაწილს) შესწევს უნარი გაუძლოს დასავლეთ საქართველოს „სათბურისმაგვარ“ ჰავას, რომელიც ყოველგვარი მერქნის ლპობის ხელშემწყობია. ამიტომ, წაბლის ხისაგან ე. წ. „ოდების“ მშენებლობამ განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა როგორც იმერეთის, გურიის და სამეგრელოს, ასევე რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის რეგიონებში. ტრადიციულად ცნობილია, რომ ქართველი გლეხკაცი თავს იწონებდა რა წაბლისაგან აგებული კოპწია ოდით, ამასთან ერთად მეტად გულისხმიერ, სათუთ და გონივრულ დამოკიდებულებას იჩენდა წაბლნარი ტყეებისადმი. მის ცალკეულ მუხემპლიარებს აშენებდა კარმიდამოსთან ახლოს, უვლიდა და ეფერებოდა მას. ტყეში გასული გლეხი ხელს როდი ახლებდა მზარდ და მომწიფარ წაბლის ხეებს. ის ძირითადად ღრმად ხმობაში შესული, გადაბერებული, დაავადებული ხეების გამოღებით იფარგლებოდა.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ტყის მეურნეობა არ დაარღვია ახალი საზოგადოებრივი წყობის – კაპიტალიზმის ელემენტების შემოჭრამ და აღებ-მიცემობის განვითარებამ.

ტყის ძვირფასი მასივებით უპირველესად უცხოური ფირმები დაინტერესდნენ. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის იმპერიულმა სატყეო პოლიტიკამ კავკასიაში და კერძოდ საქართვე-

ლოში, რომლის ძირითად მიზანს ძვირადღირებული ხე-ტყის (ბზა, ურთხმელი, კაკალი, წაბლი, ცაცხვი), რაც შეიძლება მეტი ოდენობით საზღვარგარეთ გაყიდვა და მიღებული ამონაგებით სახელმწიფო ხაზინის შემოსავლების გაზრდა წარმოადგენდა;

ტყეების გაჩეხვამ განსაკუთრებით იჩინა თავი 1917-1918 წლებში, როდესაც შეწყდა ბაქოდან თხევადი სათბობის შემოხიდეა და შეჭირვებული მოსახლეობა ტყეებს შეესია.

ავეჯის წარმოება ჩაისახა იმთავითვე, როგორც კი ადამიანი ორ ფეხზე დადგა. პრიმიტიული იარაღებით იგი ამუშავებდა ქვებს, მერქანს, ლატანს და სხვა მისთვის მისაწვდომ მასალას. დამუშავების იარაღის და ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანს საშუალება მისცა ავეჯი აეკრიფა სხვადასხვა ნაწილებისაგან და საგნებისათვის უფრო რთული და სრულყოფილი სახე მიეცა.

ავეჯის ფორმები თანდათან რთულდებოდა და უმადლეს მწვერვალს მიაღწია ბაროკოს ეპოქაში (XVII საუკუნე). ამ პერიოდში შექმნილი ავეჯი ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენდა (მეორე საკითხია – მოსახმარად რამდენად მოხერხებული იყო იგი).

ავეჯის ცალკეული სტილის შექმნის კერები დიდი ცივილიზაციის ცენტრებია: ძველი ეგვიპტე, ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, ბიზანტია, საფრანგეთი, იტალია.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ისეთ დიდ ქვეყნებშიც კი, როგორც ესპანეთი, ინგლისი, პორტუგალია – ახალი სტილის ავეჯი არ შექმნილა. რასაკვირველია, ამ ქვეყნებში ავეჯის ფორმები გამოირჩეოდნენ თავისებურებებით, მაგრამ თვით ავეჯის სტილი გადმოტანილი იყო ზემოთ მოხსენებული ქვეყნებიდან.

ავეჯის სტილის განვითარება ლოგიკურად მიემა არქიტექტურულ ფორმებს.

ყოველი ეპოქის ავეჯის სტილი იმეორებდა არქიტექტურული ფორმების განვითარების ტენდენციებს, ამიტომ, ავეჯის სტილს „მცირე არქიტექტურასაც“ უწოდებდნენ. ავეჯის სტილი, ძირითადად, ყალიბდებოდა მხატვრების, დიზაინერების, არქიტექტორების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად. ცალკეული მიმდინარეობები რომელიმე ცივილიზაციის კერიდან ვრცელდებოდა დანარჩენ ქვეყნებში; ე.ი. ავეჯის სტილის განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ეფუძნებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთო კულტურის და ხელოვნების განვითარების ტენდენციებთან.

რასაკვირველია, საოჯახო მეურნეობებში მზადდებოდა გარკვეული სახის ავეჯი, რომლის ფორმები სუფთა ხალხური იყო და ნაკლებად ემორჩილებოდა საერთო კულტურულ მიმდინარეობებს, მაგრამ ძირითადად, როგორც ავეჯის სტილის განვითარების სისტემა, ცივილიზებულ სამყაროში მაინც ერთიანი იყო.

საქართველო თავისი განვითარების ისტორიული თავისებურებების გამო, შეიძლება ითქვას, ნაკლებად უკავშირდებოდა ავეჯის სტილის განვითარების მსოფლიო ტენდენციებს. აქ, ძირითადად, ავეჯის წარმოება განვითარებული იყო საოჯახო-გლეხურ მეურნეობებში. ქალაქის მოსახლეობის სიმცირე, მუდმივი ომიანობა, მშვიდობიანი პერიოდების ხანმოკლეობა, ევროპისგან სიმორე ხელს უშლიდა ისეთი კულტურული კერების შექმნას, რომლებიც ჩვენს წინაპრებს საშუალებას მისცემდა, განსაკუთრებული წვლილი შეეტანათ ავეჯის სტილის განვითარების მსოფლიო ისტორიაში. სამაგიეროდ, საოჯახო-გლეხური მეურნეობების დონეზე, საქართველოში ავეჯის დამზადების ტრადიციებს დიდი ისტორია აქვს, განსაკუთრებით მთიან რა-

იონებში. სხვადასხვა ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს, საქართველოს მთიან რეგიონებში შეგროვებული მასალებიდან ირკვევა, რომ დიდი გამოცდილება დაგროვდა როგორც საავეჯე მერქნის შერჩევის, მოჭრის და გადამუშავების, ასევე ავეჯის დამზადების საქმეში. ჩვენს ქვეყანაში ავეჯის დამზადების ტექნოლოგიები, ძირითადად ინსტინქტურად, ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით არის მიღწეული.

ავეჯის შექმნის და მისი ფორმების განვითარების ისტორიის შესწავლა, ზოგადად, საკმაოდ რთულია. საქმე იმაშია, რომ მერქნის ავეჯი არამდგრადია ტენის, ცეცხლის, დატვირთვის და სხვა არასასურველი გარემოს მიმართ. ძველგეგმიკური, ძველბერძნული, რომაული ავეჯის სტილის შესწავლა ხდებოდა, ძირითადად, სურათების, ილუსტრაციების, ქვაზე ამოკვეთილ გამოსახულებებზე დაყრდნობით.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების კვლევა-ძიების საფუძველზე, ავეჯის ფრაგმენტები მიგნებულია ლითონის სახით; მაგალითად, ბაგინეთის მეორე სამარხის სარკოფაგში (II ს. ა.წ.) აღმოჩენილია სეფექალის კუთვნილი სარეცელის ვერცხლის ფეხები, სავარძლის სადგომები. [1]

საქართველოში ხის ავეჯის დამზადების უძველესი ტრადიციების არსებობას ადასტურებს II-III ს.ს. ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი სარეცელის ფეხთა ვერცხლის გარსაკრევეებში აღმოჩენილი კაკლის ხის მერქნის ნაშთები და მათზე სახარატო ჩარხის გამოყენების კვალი. [2]

გარდა ეთნოგრაფიული მასალებისა, ავეჯის დამზადების ძველ ტრადიციებზე მიუთითებს ქართულ ფრესკებზე გამოსახული სხვადასხვა ფორმისა და სტილის ავეჯის ილუსტრაციები, რომლებიც ქართველ მეცნიერებს ადგილობრივი გლეხური წარმომავლობისად მიიჩნიათ. [3]

როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, საქართველოშიც ავეჯის ფორმები იხვეწებოდა და უფრო მოხერხებული ხდებოდა ექსპლუატაციისათვის - „მეტად საყურადღებო გარემოება საქარ-

თველოში არის ის, რომ ერთი სახე ავეჯულობისა ქრება და მის ადგილს მეორე და მესამე, სრულიად სხვანაირი სახეობა იკავებს“, აღნიშნავდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. [4]

საქართველოში კულტურის და ცივილიზაციის ბუნებრივ განვითარებას ხელს უშლიდა მტრის გაუთავებელი შემოსევები. რაღაც დონის მიღწევის შემდეგ, ქართული ტრადიციული კულტურა, მტრის დამპყრობლური პოლიტიკის გაფლენით, დეგრადაციას განიცდიდა. აი, როგორ აღწერს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდს აკად. ივ. ჯავახიშვილი: „ზოგადად თუ განვიხილავთ ავეჯს, ძველ საქართველოში XV საუკუნემდე ფეხიან საჯდომზე იხდნენ. ყველა წყაროს მიხედვით XV საუკუნემდე ეს ჩვეულებრივი წესი იყო დაცული.

უკვე XV ს. II ნახევარში, იმერეთის მეფე ბაგრატ მეორედ წოდებულის დროს იტალიელ მოგზაურებს იმერეთი უნახავთ და აუწერიათ. მათი აღწერის მიხედვით, უკვე, სავარძლების მაგიერ ხალიჩებზე იხდნენ, ე.ი. სპარსული წესი უკვე შემოდებული ყოფილა. ამ მხრივ, ქართულ კულტურაზე დიდი წამლექავი გავლენა მოახდინა თემურ ლენგის შემოსევამ და ძველი ავეჯის გაქრობაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული“. [4]

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ბარად ავეჯის ფორმების, სტილის ევოლუციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ მთიან რაიონებში გლეხურ მეურნეობებში შეიძლება ავეჯის დამზადების ტრადიციები მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულიყო, რადგან აქ მტრის შემოსევებს, გეოგრაფიულად მიუწვდომლობის გამო, ისეთი მასიური ხასიათი არ ჰქონდა.

ავეჯის დამზადება გლეხურ მეურნეობებში იწყებოდა ტყეში, საავეჯე მერქნის შერჩევით. ხის შეცნობა-შერჩევის საკითხი ოდითგანვე მაღალ დონეზე მდგარა. ხის მერქნის საავეჯედ და სამასალედ დამზადებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის წლოვანებას. ცაცხვის მორის მოჭრის საუკეთესო დროდ ითვლებოდა 30-50 წელი, წიფლის - 70-80 წელი, არყის - 40 წელი, ფიჭვის - 100 წელი.

შერჩეულ ხეს ნიშანს ადებდნენ. მთაში ყოველ ოჯახს თავისი ნიშანი ჰქონდა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა უფროს ვაჟს. [5]

ხის მოჭრის სეზონურობას დასამზადებელი ნივთის ფუნქცია განსაზღვრავდა. საავეჯე მერქნის დამზადების საუკეთესო პერიოდი ზედა სარტყლის ტყეებში იყო შემოდგომის დასაწყისი, ხოლო შუა ზონის ტყეებში – გვიან შემოდგომა. ხის გაღვიძების პერიოდში (აპრილი) ხის მოჭრას ერიდებოდნენ.

ხის მოჭრას მზის ამოსვლამდე ასწრებდნენ. სასურველი იყო, ძველი მთვარის დროს მომხდარიყო ეს პროცესი, რადგან ამ პერიოდში მოჭრილი ხის მერქანს შემდგომში ჭია ნაკლებად აზიანებდა.

ხეს, მოჭრის შემდეგ, ტოტებს აცლიდნენ და გაქერქავდნენ. გაქერქილი მორები შემოდგომაზე ან ზამთარში ჩამოქონდათ ტყეკაფიდან. ამისათვის მორებს ხვრეტდნენ, ჯაჭვებს უყრიდნენ და ხარების დახმარებით სახლამდე მიათრევდნენ.

დახერხილ ფიცრებს გასაშრობად აწყობდნენ გადახურულში, ჩრდილში; კარგად განიავებულ ადგილას და ბზარების თავიდან ასაცილებლად ტორსებს უგოზავდნენ.

ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, მკვლევარები საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ავეჯის კლასიფიკაციას ახდენდნენ მისი დანიშნულება-ფუნქციის მიხედვით. [5]

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია საწოლი ავეჯის კატეგორია: მერხი, სკამ-ლოგინი, ტახტი, ლოგინი, ბაცანკალი ანუ ხის სასთუმალი.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია საჯდომი ავეჯი: ზურგიანი – გვერდებიანი, უზურგო და მკლავებიანი სკამები.

მესამე ჯგუფში განიხილება ხონჩები და ისეთი დგამ-ჭურჭელი, რომელთაც აქვთ კომბინირებული ფუნქცია. აქ შედის ხის მრგვალი გობები, უფეხო სწორკუთხა, ოვალური ან მრგვალი ხონჩასუფრები.

მეოთხე ჯგუფს განეკუთვნება სხვადასხვა ზომის, მოყვანილობისა და და-

ნიშნულების კიდობნები, სკივრები, ტაგურუცები, კროჭები, ხელეუთები და სხვა.

კიდობნებიდან გამოიყოფა: ტანსაცმლისათვის განკუთვნილი სატალავრე კიდობანი, საბარგე კიდობანი, სკივრისაჯამე კიდობანი, კიდობანი-კარადა, თარო, საკულტო დანიშნულების წმინდა კიდობანი.

საწოლი ანუ საძილე ავეჯის აღსანიშნავად სიტყვა სარეცელი იხმარებოდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი განმარტებით, სიტყვა სარეცელი „რეცვა“ ზმნიდან არის წარმოშობილი, რაც გაშლა-დაგებას ნიშნავს. სარეცელი ისეთ ავეჯს წარმოადგენდა, რომელზეც ლოგინი უნდა დაგებულიყო. ეს ტერმინი, მისივე გამოკვლევით, ძველ წერილობით ძეგლებში X საუკუნემდე გვხვდება; მოგვიანებით, ხმარებაში შემოვიდა სიტყვა ტახტი.

ტახტი (ლოგინი) ფიჭვის ან ცაცხვის მერქნისგან მზადდებოდა. ტახტის დამზადებას იწყებდნენ ფეხების გამოთლით. გამოთლისათვის ცულს იყენებდნენ. ფეხების გამოთლის შემდეგ ამზადებდნენ საწოლის ფეხებს და თავებს, რომლებსაც ჩასვამდნენ ფეხების წინასწარ გაკეთებულ ბუდეებში. შედეგად იკვრებოდა ჩარჩოს მაგვარი ლოგინი (ტახტი). საწოლის ძირის გასაკეთებლად ხშირად იყენებდნენ წნელს ანუ საბელს. წნელის გასატარებლად საწოლის გვერდებს დახვრეტდნენ და მას ნახვრეტებში ატარებდნენ.

ხშირად, ტახტები კედელში იყო ჩატანებული; არსებობდა ორსართულიანი ტახტები; ზედა სართული უმცროსებისათვის იყო განკუთვნილი.

ხმარებაში იყო მთლიანად დაწნული საწოლი, ავეჯიც, რომელსაც ჩაფი ან ჯინი ეწოდებოდა.

საწოლ ავეჯში ხშირად ჩალას ან თივას აგებდნენ და ზედ ფარდას შლიდნენ; გადასაფარებლად ტყავს იყენებდნენ.

განსაკუთრებული რუდუნებით მზადდებოდა აკვანი. ის მზადდებოდა ფიჭვის, ცაცხვის მერქნისაგან. აკვანი მზადდებოდა მრავალი სახის: კამარიანი,

უკამარო, საგორავით, მის გარეშე. აკენის მრავალფეროვნებას განაპირობებდა ის, თუ საქართველოს რომელ კუთხეში იყო დამზადებული.

საჯდომი ავეჯიდან დამახასიათებელი იყო გრძელი სკამი, რომელსაც სამამრო, სამამაცო ან საკაცო სკამი ეწოდებოდა.

საქართველოს მთიანეთში წარმოდგენილია გრძელი სკამის მრავალი სახეობა: სახელურიანი (მკლავიანი), უზურგო, ზურგიანი სკამი. საჯდომი ფიცარი 20-გოჯს (71 სმ.) უდრიდა. სკამის გვერდებს აკრეფდნენ და მასზე საჯდომ ფიცარს ჩამოდებდნენ. ფეხის ბუდეში ჩამაგრებული იყო მკლავთსაბრჯენი, რომელიც თუშეთში ნოეჯარის ან მოაჯირის სახელით იყო ცნობილი. [5] იგი წინა და უკანა ფეხებს აკავშირებდა ერთმანეთთან. ამგვარ სკამებს წინ ხის ე.წ. ფარდას ან კალთას უკეთებდნენ. იგი, ხშირად, ორნამენტებით იყო მოხატული.

გავრცელებული იყო, აგრეთვე კერიის უზურგო სკამი, რომელთაც თუშეთში ჩიკა, ფშაგ-ხევსურეთში ჩიკა-ჩეკი ეწოდებოდა.

რთული და სრულყოფილი ფორმებით გამოირჩეოდა სვანური საჯდომი-საკურცხილი. მას ჰქონდა გვერდები, ფარდა ანუ კალთა. საკურცხილი შემკული იყო ჩუქურთმებით.

საინტერესო სახეობას წარმოადგენდა მთიულური მარტო-სკამი – მთლიანი მერქნისაგან დამზადებული რკალური მოყვანილობის ზურგიანი საჯდომი.

ზემოთ ნახსენებ სკამებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ: უზურგო სკამები უმცროსების საჯდომ ავეჯს წარმოადგენდა. ჩიკა-სავარძელი კი ოჯახის უფროსისთვის იყო განკუთვნილი. იგი საპატიო სკამს წარმოადგენდა, მსგავსად სვანური საკურცხლისა.

სატრაპეზოდ განკუთვნილ ჯამ-ჭურჭელს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტაბლა-სუფრას, რომელიც საქართველოს მთიანეთში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება. ხევსურეთში მას ტაბლანი, მთიულეთში – ტაბლა, თუშეთში და ფშავში კი ხონჩა ეწოდება. [5]

ტაბლას ამზადებდნენ ცაცხვის, თელას და წიფლის მერქნისგან. ოთხკუთხა ან ოვალურად გათლილ ფიცარს ბაგას (ბაგა – ერთი გოჯით ამალღებულ ფიცარის კიდეს ეწოდება) უტოვებდნენ.

სატაბლე ფიცარს კუთხეებში გახერხებდნენ, რათა ხინკლის ნახარში წყალი ტაბლაზე არ დამდგარიყო ან ცხელი პური არ ჩაორთქლილიყო. ტაბლას სამფეხაზე დგამდნენ. ფეხის სიმაღლე 30 სმ-ს არ აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამფეხა ტაბლა-სუფრებს ანალოგი მოექმენება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მსგავსი სახის სუფრები გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაში, სომხეთში, აგრეთვე საბერძნეთში. [5]

კიდობანი ქართული ხალხური ავეჯის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. არსებობდა სხვადასხვა ფორმის, სიდიდის, დანიშნულების კიდობანი. სახელწოდება დანიშნულების მიხედვით იცვლებოდა: სურსათის შესანახს უწოდებდნენ დიდ კიდობანს, ტანსაცმლისათვის განკუთვნილს – სატალავრე ან საბარგე კიდობანს და სხვა. კიდობანის დასამზადებლად იყენებდნენ ცაცხვის მერქანს. ცაცხვის ფიცრებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკრავდნენ, რათა შიგ მოთავსებული ნივთები კარგად ყოფილიყო დაცული.

საპურე კიდობნად წიფლის მერქანსაც იყენებდნენ. კიდობანს 1 სმ. სისქის ფიცრებით აწყობდნენ. ასეთი თხელი ფიცრებით გაკეთებული კიდობანი კარგ ნახელავად ითვლებოდა. განივი ფიცრები 6-8 სმ. სისქის მაინც უნდა ყოფილიყო. კიდობანს ხელოსანი ასეთი თანმიმდევრობით ამზადებდა: ჯერ გვერდით ჩარჩოებს შეკრავდა, ჩარჩოებს ღარებს გაუკეთებდა და შიგ თხელ ფიცრებს ჩააწყობდა. ფიცრებს ჩარჩოებთან ხის სჭვალეებით (შკანტებით) ამაგრებდა. სჭვალეებს შინდის მერქნისაგან ამზადებდნენ.

კიდობნები გარდა საყოფაცხოვრებო – საკულტო დანიშნულებისაც შეიძლება ყოფილიყო. საინგილოში წმინდა კიდობანს, რომელიც დედაბოძის მარჯვენა კუთხეში იდგა, გარდა მამისა და მისი მემკვიდრე ვაჟისა, ვერავინ შეეხე-

ბოდა. მასში საკმეველს, ბამბას და ცვილს ინახავდნენ, რომლისგანაც საახალწლო სანთლებს ამზადებდნენ. ანთებულ სანთლებს ოჯახის უფროსი მიაკრავდა წმინდა კილობანს, შემდეგ ოჯახის წევრები ამ კილობანის წინ ჩამწკრივდებოდნენ და ლოცულობდნენ. [5]

საქართველოში ყველაზე ძვირად კილობანი ფასობდა. კილობანის ფასი მისი სიდიდით განისაზღვრებოდა, მაგალითისათვის: „რვა ფუთ ჩამავალი“ კილობანი ერთ ძროხად იყო შეფასებული. [5]

ქართულ ხალხურ ხის ავეჯს, ისე

როგორც ხალხურ ხელოვნებას, არ დაუკარგავს პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთი მხრივ, იგი მდიდარი მემკვიდრეობაა, როგორც ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის განუყოფელი ნაწილი, რომელიც საჭიროებს ღრმად შესწავლას; მეორე მხრივ, ავეჯის დამზადების ხალხური წესები – სამასაღე მერქნის შერჩევის, ჭრის ვადების, დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხის დამუშავების და ავეჯის დამზადების პროცესის დროს, დღევანდელ პირობებშიც.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ავაქიძე – „მცხეთა-ქართლის სამეფოს დედაქალაქი“. თბ. 1959 წ.
2. ა. ავაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე – „მცხეთა“. ტ. I. თბ. 1955 წ.
3. ვ. ართილაყვა – „XVI-XVIII სს. მატერიალური კულტურის ისტორიები“. თბ. 1966 წ.
4. ივ. ჯავახიშვილი – „მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისთვის“. თბ. 1965 წ.
5. ლ. ბედუქიძე – „ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. თბ. 1973 წ.

ავეჯის დამზადების ტრადიციები საქართველოში

რ ე ზ ი უ მ ე

ადამიანის გარშემო მატერიალური გარემოს ფორმირება ჩვენს ეპოქაში მოსახლეობის სულ უფრო მეტი ფენის ყურადღებას იპყრობს. ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ აინტერესებს საცხოვრებელთან, ავეჯთან, ღამაზ საოჯახო ნივთებთან დაკავშირებული საკითხები. ახალ თაობას, ალბათ, უფრო მოსწონს თანამედროვე ფორმის ავეჯი, მაგრამ ძველებურს თავისი განსაკუთრებული ხიბლი გააჩნია.

საქართველოში ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალებიდან ირკვევა, რომ ჩვენი წინაპრები ავეჯს ამზადებდნენ, ჯერ კიდევ, ჩვ. წ. აღ. II საუკუნეში.

სტატიაში მოკლედ არის აღწერილი ავეჯის ფორმების თავისებურებანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მოყვანილია ხის მერქნის დამუშავებისა და ავეჯის დამზადების ტრადიციული მეთოდები.

VI. სამკურნალო მცენარეები

მაია ქარციანიძე, ჯაბარ უჯუხიძე,
მალხაზ ჯოხაძე, თამაზ მურთაზაშვილი, ანა ბოჭაძე

წითელი ანუ მინდვრის სამყურას (TRIFOLIUM PRANSTENSE L.) სამკურნალო და სამეურნეო მნიშვნელობა

გვარი სამყურას (*Trifolium L.*) საქართველოში გავრცელებული 40 სახეობიდან სამკურნალო და სამეურნეო მნიშვნელობით საყურადღებოა წითელი ანუ მდელის სამყურა (*Trifolium pratense L.*).

აღნიშნული მცენარე გვხვდება მდელოებზე, ნათელ ტყეებში, ტყის პირებზე, მდინარეთა და ნაკადულების ნაპირებზე.

სახეობის ფარგლებში გამოყოფილია რამდენიმე სახესხვაობა და ფორმა. მათგან საქართველოში ტიპობრივი სახესხვაობის *var. pratense*-ს გარდა მითითებულია აგრეთვე *var. albiflorum* Plyskal-ი, რომელიც ხასიათდება მოთეთრო ან თითქმის თეთრი ყვავილებით [1].

მოძიებული წყაროებიდან ირკვევა, რომ მცენარე საკმაოდ მდიდარია პოლიფენოლური შენაერთებით. მცენარის მიწისზედა ნაწილიდან გამოყოფილი და სტრუქტურულად დადგენილია ფლავონოიდები: დაიძინი, გენისტინი, ფორმონონეტონი, ბიოხანინ A და მისი გლიკოზიდები [18], კვერცვტინი, იზოკვერცვტინი, პიპერინი [20], პექტოლინარინი [21]. მეტად საყურადღებოა ესტროგენული შენაერთი კუმესტროლი, რომელიც იწვევს ექსპერიმენტში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდის სტიმულირებას [9].

ფესვებიდან გამოყოფილი და სტრუქტურულად დადგენილია კალიკოზინი, პრატენზინი, ფორმონონეტინი, ფსევდობაპტიგენინი, გენისტინი, ონონინი (17). შესწავლილია ყვავილის მტვრის ამინომჟავური [3] და მიკროელემენტური შედგენილობა [7].

გარდა ამისა, მცენარის ყველა ნაწილში დადგენილია ვიტამინების (C, B, E, K, კაროტინი), საპონინების, კუმარინების (13), ფენოლკარბომჟავების (10) არსებობა.

საყურადღებო ლიტერატურული მონაცემები არსებობს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში მცენარის გამოყენების შესახებ.

დიდ ბრიტანეთსა და აშშ წითელი სამყურას მონახარში ემპლასტროებისა და კომპრესების სახით გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ [19].

კავკასიაში ნაყენი იხმარება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში. ნედლი მცენარის წვენი – სკროფულოზის (კისრის ლიმფური კვანძების ტუბერკულოზური ანთება ბავშვთა ასაკში) სამკურნალოდ; ნაყენი შიგნით მისაღებად პოდაგრის ანუ ნიკრისის ქარის (ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული შარდმჟავა მარილების დალექვა სახსრებსა და ქსოვილებში) დროს [8].


ჩეხეთსა და სლოვაკეთში – როგორც არომატიზატორი აბაზანების მისაღებად; შედის გულ-მკერდის და კუჭის ნაკრების შემადგენლობაში [12].

ბაშკირეთში – მცენარის ნედლი ფოთლები და მონახარში, როგორც გარეგანი საშუალება გამოიყენება სისხლდენის შესაჩერებლად და ჭრილობების შესახორცებლად [3,4].

ყირგიზეთში – პანარიციუმის (თითის ჩირქოვანი ანთება), პარონიქიუმის

VII. ახალი ნივნები

თეიმურაზ კანდელაკი – «სატყეო მარკეტინგი» თბილისი 2010



გამოიცა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის თეიმურაზ კანდელაკის ახალი სახელმძღვანელო – „სატყეო მარკეტინგი“, რომელიც განკუთვნილია სატყეო პროფილის სტუდენტებისათვის, ასევე – ტყის მეურნეობის და სატყეო მრეწველობის დარგების სპეციალისტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ „სატყეო მარკეტინგი“ ახალი სასწავლო დისციპლინაა და უკანასკნელ წლებში იკითხება სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტზე – ბაკალავრიატში.

წიგნის ავტორი სამართლიანად მიაჩნის, რომ მეტყევე-სპეციალისტი (მეწარმე) შეიძლება არ ფლობდეს სრულყოფილად მარკეტინგის თეორიის და პრაქტიკის ურთულეს საკითხებს, მაგრამ საბაზრო ურთიერთობის პირობებში ის აუცილებელია ერკვეოდეს თანამედროვე მარკეტინგის პრინციპებში, მის სტრატეგიულ მიმართულებებში; მას უნდა შეეძლოს კონკრეტული მარკეტინგული მოდელის ჩამოყალიბება (ფორმირება) და მისი პრაქტიკაში განხორციელება.

სახელმძღვანელო შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან, რომლებიც მოიცავენ 8 თავს, რომლებიც დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით: მარკეტინგის ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (ნაწილი I), სატყეო მარკეტინგის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (ნაწილი II) და ტყის რესურსების გამოყენების მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირების: პრინციპები, მეთოდები, პარამეტრები მერქნული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მაგალითზე (ნაწილი III). თავის მხრივ, ყოველი ნაწი-

ლის თავები მისაღებ ფარგლებში აშუქებენ დაყენებულ საკითხებს და უზრუნველყოფენ ზოგადიდან კონკრეტულ მოვლენებში გასვლის პროცესს. ასე მაგალითად: მარკეტინგის არსის, აზროვნების ინსტრუმენტის, საწარმოთა მართვის მენეჯმენტის და მარკეტინგის სტრატეგიისა და სხვა საკითხების განხილვას წინ უძღვის მოკლე განმარტებები, ცნებები ბაზარზე და საბაზრო მარკეტინგზე, რაც მთავრდება ორი საერთოდ საინტერესო ტესტის განხილვით: მეწარმის, ბიზნესმენის პიროვნული თვისებები (ტესტი I) და რისკზე წასვლის თვისება (ტესტი II). წიგნის II ნაწილი მოიცავს სამ თავს და ავტორის მიერ ისინი განსაზღვრულია, როგორც სატყეო მარკეტინგის ძირითად თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად. კერძოდ: ტყის რესურსების სარგებლობაზე მოთხოვნის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საკითხები (თავი 3); სატყეო პროდუქციაზე და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის მარკეტინგული გამოკვლევისა და ანალიზის მექანიზმი (თავი 4), მარკეტინგულ გამოკვლევებში ტყის მატერიალური და არამატერიალური რესურსების ფულადი (ეკონომიკური) შეფასების მექანიზმი (თავი 5). უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ სრულიად არის აღწერილი და მეცნიერულად გაანალიზებული ამ მიმართულებით არსებული ხელმისაწვდომი მასალა და გაკეთებულია რიგი საინტერესო პროგნოზი სატყეო დარგში საბაზრო პრინციპების რეალიზაციის თაობაზე.

სახელმძღვანელოს ბოლო თავები ეძღვნება მერქნული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მაგალითზე ტყის

რესურსების გამოყენების მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირების წინაპირობებს, მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალს და მოთხოვნა-მიწოდების მენეჯმენტს. სახელმძღვანელო ბოლო ნაწილში მოცემულია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მარკეტინგული სტრატეგიის პრიორიტეტები და ღონისძიებები.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს სტრუქტურას, იგი უდაოდ მოწონებას იმსახურებს, რამდენადაც ყველა თავს გააჩნია შესაბამისი კითხვათა ნუსხა, რომელიც შემდგომ ტესტური გამოცდის საფუძველს წარმოადგენს და პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებს შესამჩნევად პროდუქტიულს ხდის, სემესტრული შუალედური გამოკითხვების თვალსაზრისით. სახელმძღვანელოს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი, რაც აადვილებს დაინტერესების მიხედვით წყაროების მოძიებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელო – „სატყეო მარკეტინგი“ ქართული

სატყეო დისციპლინების უდაოდ კარგი და დროული შენაძენია. იგი უდაოდ ხელს შეუწყობს თანამედროვე საბაზრო პირობებში მეტყევე სპეციალისტების ცოდნის დიაპაზონის გაფართოებას და განმტკიცებას.

სახელმძღვანელოს რედაქტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სწავლული მდივანი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გივი ჯაფარიძე და ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ ზედგინიძე. იგი სასწავლო სახელმძღვანელოდ სატყეო სპეციალობის სტუდენტებისათვის, რეკომენდირებულია საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის, სატყეო დეპარტამენტის მიერ, სადაც შესაძლებელია მისი უფრო დეტალური გაცნობა და შექმნა.

**რევაზ ობოლაძე,
ტეკან გვაზავა**

VIII. ახალი პროექტები



ღამათაბიტი ინფორმაცია შვებულებით მოიხმვით
გუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF)
კავკასიის ოფისში:
საქართველო, თბილისი, ალექსიძის ქ. №11
<http://www.panda.org/caucasus>

სამსრათ
კავკასიაში ტყის
ლანდშაფტების აღდგენა
კლიმატის ცვლილებით გამოწვეული
ზემოქმედების შემცირების მიზნით

აღნიშნული პროექტი ფინანსდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და რადიაციული უსაფრთხოების სამინისტროს მიერ (BMU), გერმანიის აღმშენებლობის ბანკის (Kreditanstalt für Wiederaufbau - KfW Bankengruppe)-ს მეშვეობით. პროექტი ხორციელდება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) გერმანიის ეროვნული ორგანიზაციისა და კავკასიის წარმომადგენლობის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობით BMU-ს კლიმატის დაცვის საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივა შემუშავებულია BMU-ს მიერ.

● რა არის კლიმატის ცვლილება?

ამ შემთხვევაში იგულისხმება კლიმატური პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნულ მოვლენას ხშირად “გლობალურ დათბობასაც” უწოდებენ. უკვე საგრძნობია დედამიწის ზედაპირზე ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის მატება.

● რა შედეგები მოაქვს გლობალურ დათბობას?

გლობალური დათბობის შედეგად ატმოსფეროში მატულობს საშუალო ტემპერატურა და წყლის ორთქლის შემცველობა. უფრო ექსტრემალური ხდება ამინდის პირობები. კერძოდ, გახშირებულია ქარიშხლები და ძლიერი წვიმები, გვალვები სულ უფრო ხანგრძლივი ხდება და უფრო დიდ ტერიტორიებს მოიცავს. აღნიშნული მოვლენების გამო უამრავი ადამიანი ზარალდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

● რა ინვექსი აღნიშნულ მოვლენებს?

გლობალურ დათბობას ძირითადად ინვექს ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოყოფილი ე.წ. სათბურის აირები, მაგალითად ნახშირორჟანგი (CO2) და მეთანი (CH4). აღნიშნული აირები ძირითადად წარმოიქმნება ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირისა და სხვა “ტრადიციული” საწვავის წვის შედეგად. ტყეების განადგურება, ასევე, სოფლის მეურნეობის ექტენსიური წარმართვა და სამრეწველო ნარჩენების არასწორი განთავსება, ხელს უწყობს აღნიშნული აირების ატმოსფეროში დაგროვებას და შესაბამისად, გლობალურ დათბობას.

● ტყეების მნიშვნელობა

ტყეები ასრულებენ მრავალ სასიცოცხლო ფუნქციას. ისინი შთანთქავენ ნახშირორჟანგს (ანუ ერთ-ერთ სათბურის აირს) და აკავებენ ნახშირბადს ძირითადად მერქანსა და ნიადაგში. მიუხედავად ამისა, ტყეები ზარალდებიან გლობალური დათბობის უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა საერთო შეექმნას მათ ფუნქციებსა და არსებობასაც კი.

● რა უნდა გააკეთდეს

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ატმოსფეროში მავნე აირების კონცენტრაციის შემცირებას და ტყეების განადგურების შეჩერებას. ასევე, აუცილებელია არსებული ტყის ეკოსისტემების კლიმატის ცვლილებასთან შეგუების (ადაპტაციის) უნარის გაძლიერება, რაც გულისხმობს ტყეების აღდგენის გზით მათი ფუნქციების შენარჩუნებას და ნახშირორჟანგის შთანთქმის უნარის გაზრდას.



● ტყეების აღდგენის მნიშვნელობა

ტყეების აღდგენა ხელს უწყობს ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლებას და მათი დაცვითი ფუნქციებისა და პროდუქტიულობის შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტყის რესურსებზე მომავალი თაობების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

● პროექტი კავკასიაში

კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედება კავკასიაშიც შეიმჩნევა, რაც გამოიხატება გახშირებული წყალდიდობებითა და გვალვებით, ნიადაგის ეროზიისა და მეწყრული პროცესების გააქტიურებით. ტყის ეკოსისტემების აღდგენა-გაუმჯობესება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ პრობლემებთან ბრძოლის საქმეში. კავკასიის ტყეები გამორჩეულია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, რაც დამატებითი სტიმულია ტყის აღდგენისათვის.



● რაგაკეთება

პროექტის ფარგლებში მოხდება დეგრადირებული და განადგურებული ჭალისა და მთის ტყეების საჩვენებელი აღდგენა, რათა ჩამოყალიბდეს გარემო პირობებთან შეგუებული და მრავალფეროვანი ტყის საფარი, რომლის სახეობრივი შემადგენლობა შეესაბამება ბუნებრივ გარემო პირობებს. ამ მიზნით გამოიყენება ადგილობრივი წარმოშობის ნერგები თუ თესვები და გატარდება ეფექტური სატყეო ღონისძიებები. შედეგად, მოიმატებს ტყეების გამძლეობა სხვადასხვა სახის უარყოფითი ზემოქმედების მიმართ.

შეიღობება გარკვეული ტერიტორია აღსადგენი ტყის საქონლის ძოვებისაგან დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ პროექტით განსაზღვრული ტერიტორიის დიდი ნაწილი საქონლის ძოვებისათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე თითქმის აღარ არის დარჩენილი შესაბამისი ბალახეული საფარი.

● რა სარგებელს მოუტანს პროექტი მოსახლეობას

პროექტით გათვალისწინებულ ტყის აღდგენის ყველა სამუშაოში დასაქმდება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა. გაუმჯობესდება ტყეების დაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. ასევე, პერსპექტივაში გაიზრდება აღდგენილი ტყის სამასალე და სამეშე მერქნისა და არამერქნითი რესურსების (ხილკენკროვანი, სოკო და ა.შ.) მარაგები პროექტის სამოქმედო ტერიტორიაზე.



X. ღვანდომოსილ მეტყვევითა ხსოვნის აღსანიშნავად

კონსტანტინე თარგამაძე – ღარბობრივი სატყეო ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე



100 წელი შესრულდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკური მეცნიერების დოქტორის, ღვაწლმოსილ პედაგოგისა და მეცნიერის, პროფესორ კონსტანტინე მიხეილის ძე თარგამაძის დაბადებიდან. იგი დაიბადა 1910 წლის 15 სექტემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგორ-ზღვაში გლეხის ოჯახში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1925-1927 წლებში მუშაობდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში და ციხისძირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობაში მუშად.

ამ პერიოდიდან იწყება მისი საზოგადოებრივი და პარტიული საქმიანობა. 1928 წელს იგი დააწინაურეს მიწა-ტყის

პროფკავშირის ქობულეთის სამაზრო კომიტეტში ახალგაზრდათა შორის მომუშავედ და არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის სამაზრო აღმასკომის დეპუტატად და კომკავშირის ქობულეთის სამაზრო კომიტეტის წევრად. 1929 წელს კ. თარგამაძე ჩარიცხული იქნა პროფათასეულთა რიგებში და გაიგზავნა ქ. თბილისში საქართველოს პროფსაჭოს მიერ ჩამოყალიბებულ პროფათასეულთა უმაღლეს სასწავლებლისათვის მოსამზადებელ კურსებზე, რომლის დამთავრებისთანავე 1930 წელს გახდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტის სტუდენტი. ბუნებისა და მისი ერთ-ერთი კომპონენტის – ტყისადმი დიდმა სიყვარულმა მას აღუძრა სურვილი მიეღო სატყეო უმაღლესი განათლება. ა/კ. სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის ლევან აღნიაშვილის და სატყეო ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის – პროფ. კ. მოღვაძის ინიციატივითა და დახმარებით კ. თარგამაძე 1931 წელს მიღებულ იქნა სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-2 კურსზე. სატყეო ინსტიტუტში იგი სწავლობდა წარჩინებით, ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა 1934 წელს და მას მიენიჭა მეტყევე-ეკონომისტის კვალიფიკაცია. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი მივლინებულ იქნა ლენინგრადის სატყეო ტექნიკური აკადემიის ასპირანტურაში, სადაც სწავლობდა 1934-1937

წლებში. სწავლის პერიოდში აგრძელებდა საზოგადოებრივ საქმიანობას და პროფ. ა. ბოგოსლავსკის ხელმძღვანელობით ამუშავებდა საკანდიდატო-სადისერტაციო თემას „საქართველოს საკურორტო ტყეებში ტყის მეურნეობის ორგანიზაციის საფუძვლები“. ასპირანტურის ბოლო კურსიდან 1937 წელს მობილიზაციის წესით გამოწვეული იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და დაინიშნა საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

1937 წელს 27 წლის ახალგაზრდა მთელი პასუხისმგებლობით შეუდგა ამ დიდი დავალების შესრულებას, დაუღალავი ენერგიული შრომის შედეგად სულ მოკლე დროში იგი 1938 წელს დააწინაურეს ამავე საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, სადაც მან იმუშავა 1943 წლამდე.

1943 წელს იგი დააწინაურეს და გადაიყვანეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, რომელსაც სხვა საქმიანობასთან ერთად დაეკისრა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდების სახელმწიფო უზრუნველყოფის საქმიანობა. 1946 წელს კ. თარგამაძე დაინიშნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად. 1951 წელს გადაყვანილ იქნა საქართველოს კომუნალური მეურნეობის მინისტრად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1951-1952 წლებში.

კ. თარგამაძე ჯერ კიდევ ლენინგრადის სატყეო აკადემიაში სწავლის პერიოდში ერთდროულად, თბილისის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. სატყეო მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგის დოც. ისოებ ნადირაშვილის ხელმძღვანელობით ატარებდა ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს. 1938 წელს სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეერთების შემდგომ კ. თარგამაძე დაინიშნა სატყეო ტაქსაციისა და ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის გამგედ, იგი ამ თანამდებობაზე მუშა-

ობდა 1943 წლამდე, მაგრამ საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით მისივე თხოვნით განთავისუფლდა კათედრის გამგის თანამდებობიდან და საათობრივი ანაზღაურების წესით ასრულებდა კათედრაზე დატვირთვას ეკონომიკურ დისციპლინებში. 1946 წელს იგი ხელახლად დაინიშნა კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად შეთავსებით ნახევარ შტატში, ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1952 წლამდე. 1952 წელს მთავრობის დადგენილებით აიკრძალა შეთავსებით მუშაობა და ამასთან დაკავშირებით კ. თარგამაძის წინაშე დადგა არჩევანი: ან უმადლეს სკოლაში მუშაობა, ან სამეურნეო საქმიანობა. მან უმადლეს სკოლაში მუშაობა აირჩია. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით იგი პირადი თხოვნით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ჩაირიცხა სრულ შტატში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტაქსაციის, ტყის ექსპლოატაციისა და ტყის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე, იმავე წელს იგი არჩეულ იქნა ამავე კათედრის გამგედ, რაზეც იმოდღაწა 1983 წლამდე. 1953-56 წლებში კ. თარგამაძე მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის რექტორობიდან წასვლა ცნობილი თბილისის 1956 წლის მარტში მომხდარი მოვლენებისადმი მისმა სწორმა, პრინციპულმა პოზიციებმა განაპირობა. 1974-77 წლებში იყო სატყეო-სამეურნეო ფალკულტეტის დეკანი.

სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში იგი სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო საქმიანობას, იყო ჟურნალ „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ მთავარი რედაქტორი 1937-1941 წლებში. მისი მონაწილეობით და რედაქტორობით გამოვიდა პირველი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია. 1947-50 წლებში დასავლეთ საქართველოში ჩატარებულ გამოკვლევათა საფუძველზე შეადგინა

მონოგრაფია „ეკალიპტის სახელმწიფო ტყის ზოლები და მათი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს პირობებში“, რომელზეც 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიური მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს გახდა დოცენტი. პროფ. კ. თარგამაძე ლექციების კურსს კითხულობდა საგან „ტყის მეურნეობის ეკონომიკაში“ და „ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციასა და დაგეგმვაში“. ამ დისციპლინებში არათუ მშობლიურ ენაზე, არამედ არც რუსულ ენაზე სახელმძღვანელოები არ იყო და მისი ავტორობით მშობლიურ ენაზე გამოიცა „სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის და დაგეგმვის“ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი 1956 წელს, ხოლო მეორე ნაწილი 1958 წელს. ტყის მეურნეობის ეკონომიკის სახელმძღვანელო მისი ავტორობით გამოიცა კერ კიდევ 1959 წელს, ხელმეორე გამოცემა მოხდა 1965 წელს და 1984 წლებში.

პროფ. კონსტანტინე თარგამაძის ხელმძღვანელობით მომზადდა სატყეო მეურნეობის ეკონომიკის დარგში მრავალი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. თუ 1950-იან წლებში საქართველოში არც ერთი სამეცნიერო ხარისხის მქონე მეტყევე ეკონომისტი არ იყო და პირველი მეტყევე ეკონომისტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი თვით კონსტანტინე თარგამაძე გახლდათ; დღეს მისი მეცადინეობით და ხელმძღვანელობით სამთო სატყეო ეკონომიკის პრობლემების მეცნიერული საკითხების დამუშავებასა და გადაწყვეტაზე მიღებული აქვთ სამეცნიერო ხარისხები საქართველოს და აზერბაიჯანის 10-მდე მეტყევე ეკონომისტს, მათ შორის ამ სტატიის ავტორებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. კ. თარგამაძემ შექმნა სამთო მეტყევეობის ეკონომიკის ქართული სკოლა, სადაც გამოიკვეთა პრიორიტეტები განსაკუთრებული დანიშნულების მთის ტყეების ეკონომიკური პრობლემების დამუშავებაში.

პროფ. კონსტანტინე თარგამაძის მიერ ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებულია 115 სამეცნიერო შრომა.

საერთო მოწონება დაიმსახურა პროფ. კ. თარგამაძის გამოკვლევებმა განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული ჯგუფების ტყეების სამეურნეო ნაწილების მიხედვით სარგებლობის დონის ეკონომიკურ კატეგორიებად დიფერენცირების; დასაშვები და ფაქტიური სარგებლობის ოდენობის განსაზღვრის, ტყის არაპირდაპირი სარგებლობაზე ფასების დადგენის, სხვადასხვა კატეგორიის ტყის ფონდის მიწებზე სასარგებლო რესურსების კომპლექსური გამოყენების, სატყეო რენტის, ტყის რესურსების კვლავწარმოების, ტყის პროდუქტიულობის გადინების, დაცვითი ტყის ზოლების გაშენებაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიურობის, ტყის დაცვის სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, მთის ტყეებში არამერქნული სარგებლობის რეზერვების გამოვლენის, საქართველოს ტყის ფონდის და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებულმა შრომებმა.

1967 წელს საკავშირო ჟურნალ „Èñí-í îá òíçÿéñðâí“-ში პროფ. კ. თარგამაძის ნაშრომი „Òâíí çâ òñëòâë èâñâ“ გამოქვეყნდა განხილვის წესით. სტატიაში დაყენებულმა მოსაზრებებმა დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა, იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული მრავალი გამომხაურებიდან აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ვასილ გულისაშვილის და გიორგი გიგაურის სტატია, რომლებიც დადებითად აფასებენ პროფ. კ. თარგამაძის მოსაზრებას ტყის რეკრეაციული სარგებლობისათვის საფასურის დადგენის თაობაზე.

მეტყევე მეცნიერების დიდი მოწონება დაიმსახურა აგრეთვე იმავე ჟურნალში გამოქვეყნებულ პროფ. თარგამაძის სტატიამ „Íá îíðâääèâíèè ñðâíâíè èñíèëüçíâíèÿ çâíâëü èâñíîâ òííâ“. პროფ. კ. თარგამაძის წამოყენებული დებულებები მოწონებულ იქნა და შეტანილია ევროპის ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნების მეტყევე მეცნიერთა მიერ ქ. ვარშავაში 1972 წელს გამოცემულ შრომათა კრებულში „Èñí-í îá òíçÿéñðâí â ñèñ-ðâíâ íèâíèððâííé ÿé í ñèèè“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „Í àòèà“ მიერ 1972 წელს გამოქვეყნებულ კაპიტალურ ნაშრომში „Ýîíí-ìèèà è ìðââíèçàòèèÿ ìðíèèøèâííâí ìðí-éçâíâíðèâ“. მოწონებულია პროფ. თარგამაძის მიერ წამოყენებული დებულება სატყეო რენტის შესახებ.

პროფ. კ. თარგამაძე არაერთი საერთაშორისო სიმპოზიუმების მონაწილეა. მისმა მოხსენებამ „განსაკუთრებული სახალხო მეურნეობრივი დანიშნულების ტყეებში პროდუქციის დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები“ ვორონეჟში უმაღლეს სასწავლებლების მეტყევე ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე მოწონება დაიმსახურა და დაიბეჭდა სპეციალურ კრებულში.

პროფ. თარგამაძემ საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერებთან თანამონაწილეობით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობებში განახორციელა გამოკვლევები: ლაფანჯამია მავნებლის წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის ღონისძიებების შესრულებაზე გაწეული დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიურობის დასადგენად. ჩატარებული გამოკვლევების შედეგები მოხსენდა მცენარეთა დაცვის მსოფლიო კონგრესს, რომელიც გაიმართა ქ. მოსკოვში 1975 წელს. ამ მოხსენებამ, როგორც ამ დარგში პირველმა გამოკვლევების შედეგებმა კონგრესის მონაწილეებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია და დაბეჭდილია კონგრესის მასალებში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

მერქნის პროდუქციის დეფიციტის ნაწილობრივ შემცირების საკითხებს მიეძღვნა კ. თარგამაძის ბოლო წლების გამოკვლევები. კათედრის თანამშრომლებთან ერთად შესწავლილი იქნა საქართველოში გავრცელებული მერქნის შემცველად ბამბუკის გამოყენების

შესაძლებლობა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, ხოლო ვაზის ნახსენებებისა მერქანბურბუმელოვანი და მერქანბოჭკოვანი ფილების წარმოებაში. აღნიშნულ გამოკვლევებს უდაოდ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ და ამ მიდგომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტიუალურობა.

მრავალი წლის მანძილზე პროფ. თარგამაძე იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი. არჩეულ იყო და აქტიურად მუშაობდა სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ და ამავე საზოგადოების ეკონომიკური სექციის თავმჯდომარედ. ორი ათეულ წელზე მეტი მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედკოლეგიის წევრად. პროფ. კ. თარგამაძე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს I, II და III მოწვევის დეპუტატი. ხანგრძლივი, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი შრომისათვის იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის II ხარისხის, ორი საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ბატონი კონსტანტინეს, შესანიშნავი მოქალაქის, დახვეწილი ინტელიგენტის, მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნათელი სახე დიდი ხნის განმავლობაში ემახსოვრება ქართველ ხალხს, მეტყევე სპეციალისტთა მთელ კოლექტივს და უშუალოდ მის მიერ აღზრდილ მოწაფეებს. დავიწყებას არ მივცემა მისი სიკეთით და ჭეშმარიტად სახელოვნად განვლილი ცხოვრებისეული გზა.

თეიმურაზ კანდელაკი,
აპოიანდოლ ზელებინიძე,
რეპაზ ობოლაძე

ვახტანგ ჩიხრაძე – საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ცნობილი მეტყევე-ეკონომისტი



ვახტანგ სილიბისტროს ძე ჩიხრაძე დაიბადა 1922 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ველევში. 1939 წელს დაამთავრა ხოტევის საშუალო სკოლა წარჩინებით და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში ისტორიის სპეციალობით. ნიჭიერმა სტუდენტმა თავიდანვე მიიპყრო ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებელთა ყურადღება და რომ არა ისტორიული უკუღმართობა, მისი სახით ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი ეყოლებოდა ქვეყანას. მაგრამ, სამწუხაროდ, 1940 წელს უგუნურთა უსაფუძვლო დაბეზდებით დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივით და გადაასახლეს შორეულ ჩრდილოეთში. მან ათი წელი დაჰყო გულაგის მკაცრ ბანაკებში და მხოლოდ 1950 წელს მიეცა თავისუფალი მოქალაქის სტატუსი. იქვე დაოჯახდა და 1954 წელს ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. 1960 წელს იქნა რეაბილიტირებული. ვახტანგმა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებისთანავე მუშაობა დაიწყო ამბროლაურის

სატყეო მეურნეობაში მეტყევედ. მან ისე შეისისხლხორცა და შეიყვარა სატყეო დარგი, რომ პირვანდელ სპეციალობას აღარ დაუბრუნდა და მთელი თავისი შემდგომი მოღვაწეობა ტყეების დაცვის და აღდგენის კეთილშობილურ საქმეს შეაღია. 1961 წელს წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი, ხოლო შემდგომ ამ ინსტიტუტთან არსებული ასპირანტურა სატყეო ეკონომიკის სპეციალობით. 1968 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია სატყეო შემოსავლების სრულყოფის პრობლემებზე და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამავე წელს ვახტანგ ჩიხრაძე გადმოყავთ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოში ახლად ორგანიზებული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელად. სწორედ აქ გამოვლინდა მისი შესანიშნავი ნიჭი, ორგანიზატორული უნარი და შრომისმოყვარეობა დარგობრივი შრომითა და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმატივების შემუშავების და დანერგვის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგენილი ნორმატივები საფუძვლად დაედო ყოფილი სსრ კავშირის მთელი მასშტაბით მთავორიანი პირობებისათვის შემუშავებული გამომუშავების ნორმებს სატყეო-სამეურნეო, ტყის დაცვის და ტყის აღდგენა-განახლების ოპერაციებზე. ნორმების კრებული გამოიცა 1977 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში შრომის სახელმწიფო კომიტეტის ნორმატივების ცენტრალური ბიუროს ეგიდით. 1992 წელს რესპუბლიკური ცენტრის რეორგანიზაციის შემდეგ ის გადაყავთ დაცული ტერიტორიების და სამონადირეო მეურ-

სახიკავი

I. სავალო კოლონია

თავილა ნავარეიშვილი ტყისთარგებლობის ეონოეკოლოგიური კულტურა საქართველოში 3

T. ЦАГАРЕИШВИЛИ ოტნიჩესკაია ოკოლოგია
T. TSAGAREISVILI Ethnic Ecology

ლავან გომონიძე ბორჯომის ხეობის ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა და საკურთხო ტყეებში მუერნეობის გაძლოლის ზოგიერთი საკითხი 13

II. გავყვერობის, გვერის, აღღვენის და გავანსაღვერის კრობლეყვები

ბიძინა თავაძე, რავაზ ობოლავა, ბოგო ბეროზაშვილი, ილია ეჯიბაძე შეგუნარჩუნოთ წაბლნარები მომავალ თაობებს 18
ÁÈÀÇÈÍÁ ÕÁÁÁÁÇÁ, ÐÁÁÁÇ ÍÁÍ ÈÁÁÇÁ, ÕÍÁÍ ÁÁÐÍÇÁÕÁÈÈÈ, ÈÈÛ ÆÆÈÁÁÁÇÁ Ñíõðàíèì Èáõðàííàõ èáñíà áóáóùèì ïîèèáíèÿì
BIDZINA TAVADZE, REVAZ OBOLADZE, TOGO BEROZASHVILI, ILIA EDJIBADZE Preserve Chestnut Forests for Future Generation

ÕÍÁÍ ÁÁÐÍÇÁÕÁÈÈÈ Áèíèíàè-áñíèá ðàçííáðàçèá áèííàõ èáñíà Áõóçèè è íáèìòíðá
íðè-èí ÆÆ ïíèæáííè òñííè-èáííèè 29
ტ. ბეროზაშვილი საქართველოს ნაძვნარი ტყეების ბიოლოგიური ნაირფეროვნება და მათი დაბალი რეზისტენტობის ზოგიერთი მიზეზი
TOGO BEROZASHVILI A biological variety of fur-tree woods of Georgia and some reasons of its lowered stability

მანანა ჯყოძია ქერქიქამია ტიპოგრაფის (IPS TYPOGRAPHUS L.) გაძრავების პროგნოზის რეზიუმე 34
Ì. ×ÈÍÈ ÁÇÁ Áèÿ ïðíáííà ðàçí ï íæáíèÿ èí ðíááà ðèííáðàðà (IPS TYPOGRAPHUS L.)
M. CHKOIDZE PROGNOSIS FOR MULTIPLICATION OF IPS TYPOGRAPHUS L.

ლავან გვანაგვი, თორნიკე გვანაგვი ტყიდან მერქნით უწყვეტი სარგებლობის თანამედროვე პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები 39
ÈÁÁÁ ÁÁÁÇÁÁÁ, ÕÍÐÍÈÈÁ ÁÁÁÇÁÁÁ Ñíàðáíííà ïðíáèáí ÆÆííðáðèáííáí ïèÿçí ááèÿ áðíááíèíè èç èáñò è ïððè èð ðáíáíèÿ

ÕÌ.ÁÆÁÍÁÐÈÁÇÁ, ÐÁ.×ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ, Í.È.ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ, È.Ð.×ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ
Ðàçòèóòàðí èááí-áòíò ðáíè Áááíáðà á æèíáí-íè ðíáíò áðááí òí ÿò 43
თ. ჯავარიძე, რ. ჩაბელიძე, ი. ლვალიძე, ი. ჩაბელიძე ნაძვნარ-სოჭნარ ტყეებში ნატარებული ვაგნერის არშისებრი ჭრების შედეგები
ÕÌ.ÁÆÁÍÁÐÈÁÇÁ, ÐÁ.×ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ, Í.È.ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ, È.Ð.×ÁÁÁÈÈÕÁÈÈÈ

გერონტი ხარაიშვილი ტყის მკვდარი საფარის მარაგი და ტენეტუვადობა წიფლის სარტყელში 50
ÁÈ. ÕÁÐÁÈÕÁÈÈÈ ÇÁÍÁÑ È ÁÈÁÁÍ ÁÍÈÍ ÑÕÛ ÈÁÑÍÍÈ ÏÁÑÕÈÈÈÈ Á ÏÈÑÁ ÁÕÈÍÁÍÁÍ ÈÁÑÁ
G. I. KHARAIHVILI STOCK AND HUMIDITY OF FOREST LITTER IN THE BEECH FORESTS BELT

თეიმურაზ ხანდალაძე, გიორგი კავთარაძე საქართველოში პავლონის აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შედეგები 59
T. KANDELAKI, G. KAVTARADZE Results of paulownia's acclimatization and adaptation in Georgia
Õ ÈÁÍÁÁÈÁÈÈ, Á. ÈÁÁÕÁÐÁÁÇÁ Ðàçòèóòàðí áèèèáðèçáðèè è áááíðáðèè ïáæíáíèè á Áõóçèè

ელდარ ლობჯანიძე, მიხეილ ჯაფარიძე, გონა ლაბაძე, ლალი ავანათიანი კავკასიური პანტის (PYRUS CAUCASICA A. FED) ბიოეკოლოგია, მერქნის ანატომიური სტრუქტურა და ტექნიკური თვისებები 66
È. Ð. ÌÕÐÇÁÑÍÐÈ, M.S. ÐÈÐÈÁÓÍÍÍ, Ñ. Ð. ÌÁÐÐÈ, Ì. V. ÁÑÁÑÁÓÍÍÍ
BIOLOGICAL PECULIARITIES, ANATOMICAL STRUCTURE AND TECHNICAL PROPERTIES OF CAUCASIAN WILD PEAR (PYRUS CAUCASICA A. FED) WOOD
Ý. Á. ÈÍÁÆÁÍÈÁÇÁ, Ì. Ñ. ÇÁÁÁÈÈÕÁÈÈÈÈ, Í. Á. ÈÁÁÁÁÇÁ, È. Á. ÁÌÁÍÁÒÁÕÁÈÈÈÈ
ÁÈÿÿÈÈ ÈÍÁÈ×ÁÑÈÈÁ ÌÑÍÁ ÁÍÍÍÑÒÈ, ÁÍÁÕÍÈÈ×ÁÑÈÈÁ ÑÕÐÕÈÕÕÐÁ È ÕÁÕÍÈ×ÁÑÈÈÁ ÑÁÍÈÑÕÁÁ ÁÐÁÁÁÑÈÍÛ ÈÁÁÈÇÑÈÍÈ ÈÁÑÍÈÈ ÁÐÕÕÈ /PYRUS CAUCASICA A. FED/

რავაზ გომონიძე ფიჭვის ხის წლიურ ნაზარდში არსებული სხვადასხვა ენერგია და ენერგიათა სტრუქტურა 73
Ð. ÁÍÕÈÐÈÁÇÁ Ñõðèõõðá ÿíáðáè è ÿíáðáèÿ á áíáè-íò ñíííáíò ïðèðíðáò
R.GOTSIRIDZE Structure of Energies and Energy in Annual Growths of a Pine Tree

III. სანაკრძალო და სამონადირეო მეურნეობის პრობლემები: ეკოტურიზმი

სლექსი არაბული კოლხეთის ვაკისა და დაბლობის ზონის ხერხედიანები და მათი სამეურნეო გამოყენება, ეკოტურისტული მარშრუტები 77

IV. ტყის რესურსების ათვისების და გამოყენების პრობლემები

ი.ა. ოიაოი, ც.ა. ააეაიოაბაოაეეე, დ.ა. ოეაიეაააა, ა.ი. ეეიეაააა, თ.ი.ა.აააბეაიე
ეაიაოიი - იიააანიბ ობაე - აი×იბ ონოაიიეა ნ იიადა×იუი იანოუეი ეაიაოი ო
P. DUNDUA, Z. BALAMTSARASVILI, R. TKEMALADZE D. KINKLADZE, SH. MATCHAVARIANI. 88
ROPEWAY-AIR TIMBER DRAGGER MACHINE WITH CROSS-CONVEY WAGGONER ROPE.
კ.დ.უნდუა, ზ.ბალამტარაშვილი, რ.ტყემალაძე, დ.კინკლაძე, შ.მაჭავარიანი
საბავირო-საკვარო მორსატრევი დანადგარი განივგადასატანი მზიდი ბავიროთ

ლევან გვახაია, თორნიკე გვახაია მოსახლეობის სავაჭრო შეშით უზრუნველყოფის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები 92

V. საგემო მათემატიკა

გიორგი ყარაბაგიანი სამოცდაათი წელი ტყის მეურნეობის სამსახურში, ანუ დარიგება და ანდერძი შეტყვევთა დღეგანდღე და მომავალ თაობებს 95

ბრისტან ჩარაქიშვილი ტყის მცველი (ნამდვილი ამბავი) 140

ნოდარ სამხარაძე აგეჯის დამზადების ტრადიციები საქართველოში 108
ობააეოეე ეეაი ოი აეაიე ბ იაააეე ა აბოეეე
TRADITIONS OF FURNITURE MANUFACTURING IN GEORGIA

VI. საეკონომიკური მნიშვნელობა

ბაია ქარციანიძე, ჯუმბერ ჯუჯუნიძე, მალხაზ ჯოხაძე, თამაზ მურთაზაშვილი, ანა ბოჰაძე
წითელი ანუ მინდვრის სამყურას (TRIFOLIUM PRANSTENSE L.) საეკონომიკური და სამეურნეო მნიშვნელობა . 114
ი. ეობოეეეააა, ა.ე. ეო×ობეააა, ი. ააეი ოაააა, ო. იობოააააააააა, ა. აიეაააა
ეა-ააინა ე ოეეეინბააინა ცრა-აინა ეეაააბა ეოაინაინ ეეე ებაინაინ (TRIFOLIM PRANSTENSE L.)
MAIA KURCIKIZE, JUMBER KUCHUXIDZE, MALXAZ JOKHAZE, TAMAZ MURTAZASVILI, ANA BOZHADZE
Medical and economic importance of the red clover (Trifolium pranstense L.)

VII. ახალი ნივნები

თეიმურაზ ხანდელაძე – მსატყეო მარკეტინგი4 თბილისი 2010 117

VIII. ახალი პროექტები

სამხრეთ კავკასიაში ტყის ლანდშაფტის აღდგენა 119

IX. ლიტერატურულ-კვლევითი მნიშვნელობა

თამაზ ანთაძე როდესაც ვირი ადამიანებს ჭკუას ასწავლის, ანუ ვიმუხაფოდ აკაკისებურად 122

X. ლექსების კრებული

- კონსტანტინე თარგამაძე – დარგობრივი მსატყეო ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში 130
- ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე 130
- რეკვიემი მეგობრის ხსოვნის უკვდასყოფად 134
- ვახტანგ ჩიხრაძე – საქართველოს დამსახურებული მეცნიერი, ცნობილი მეცნიერი-ეკონომისტი 136
- ნაბოლეთონ შონია 137

